ბავშვთა ჟურნალი

ნაპალდუღი



მაისი, 1908 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მწყესის სიმღერა.—ვაჟა-ფშაველისა 3

II—გაზაფხული.—ი. ევდოშვილისა 5

III—ზაფხული.—ი. ევდოშვილისა. 7

IV—შემოდგომა.—ი. ევდოშვილისა 9

V—ზამთარი.—ი. ევდოშვილისა. 11

VI—შეუბრალებელი.—(მოთხრობა) ანასტასია ერისთავი—ხოშტარიასი. 13

VII—გაზაფხულის დილა.—დ. ელიოზიშვილისა 22

VIII—მუზიკის გავლენა ცხოველებზედ.—ი. მაჭავარიანისა . 24

IX—გაუმაძღარი.—(ვედრებისელისა) გიგო ჯაფარიძისა . . 31

X—ცელქის დღიურიდან.—(გაბბერტონისა) ალონ ნიკოლაიშვილისა 36

XI—სამრეკლოზედ.—(ფრანგულით) ანასტასია ამილახვრისა. 41

XII—სამშობლო ქვეყანა.—ს. ყიფშიძისა. 45

XIII—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოდომონ ქურდიანისა.. 51

XII—ედმონდო დეამიჩისი.—(ნეკროლოგი) ი. მაჭავარიანისა. 55

XIV—ვ. ი. ნიკოლაძე.—(ნეკროლოგი) დ. ბ. 57

XVI—ქანდაკება.—ვ. ნიკოლაძე 60

XVII—ნარევი:—ა) შარადა ვანო ჭიჭინაძისა—ბ) პატარა თვალთმაქცი—გ) ბეჭდის ცეკვა გიგო ჯაფარიძისა —დ) ანდაზები გამოცანა,—ე) რებუსი და ახსნა . 62

XVIII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა —ამბავი ცხოველთა სამეფოსი ოარგმ. გრ. ყიფშიძისა.

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

მაისი, 1908 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მწყესის სიმღერა.—ვაჟა-ფშაველასი 3

II—გაზაფხული.—ი. ევდოშვილისა 5

III—ზაფხული.—ი. ევდოშვილისა. 7

IV—შემოდგომა.—ი. ევდოშვილისა 9

V—ზამთარი.—ი. ევდოშვილისა. 11

VI—შეუბრალებელი.—(მოთხრობა) ანასტასია ერისთავი—ხოშტარიასი. 13

VII—გაზაფხულის დილა.—დ. ელიოზიშვილისა 22

VIII—მუზიკის გავლენა ცხოველებზედ.—ი. მაჭავარიანისა . 24

IX—გაუმაძღარი.—(ვედრებისელისა) გიგო ჯაფარიძისა . . 31

X—ცელქის დღიურიდან.—(გაბბერტონისა) ალსონ ნიკოლაიშვილისა 36

XI—სამრეკლოზედ.—(ფრანგულით) ანასტასია ამილახვრისა. 41

XII—სამშობლო ქვეყანა.—ს. ეიფშიძისა. 45

XIII—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოდომონ ქურდიანისა.. 51

XII—ედმონდო დეამიჩისი.—(ნეკროლოგი) ი. მაჭავარიანისა. 55

XIV—ვ. ი. ნიკოლაძე.—(ნეკროლოგი) დ. ბ. 57

XVI—ქანდაკება.—ვ. ნიკოლაძე 60

XVII—ნარევი:—ა) შარადა ვანო ჭიჭინაძისა—ბ) პატარა თვალთმაქცი—გ) ბეჭდის ცეკვა გიგო ჯაფარიძისა—დ) ანდაზები გამოცანა,—ე) რებუსი და ახსნა . 62

XVIII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა.—ამბავი ცხოველთა სამეფოსი ნარგმ. გრ. ეიფშიძისა.

მწყემსის სიმღერა

ერთი ძროხა გვყავს, ნიშას ვეძახით,
ჯერზე იწველის თითო თუნგს რძესა,
ხუთ-ხუთი სული შევჩერებივართ
იმის მოძღვნილსა ნაღებს და ყველსა.
მას ვენაცვალე: ტანთ და ფეხთ გვაცმევს
და ჩაგვიპოხავს ხან და ხან ყელსა,
ვაძოვებ მთისას მწვანე ბალახსა.
შემოვეხვევი მალი-მალ ყელსა.
დავსდევ უკანა ხელ-ჯოხიანი,
ოინჯიანსა ვუმარჯვებ ველსა.
მამაჩემიცა მუყაითად სთიბს:
უსვამს და უსვამს ხმირს ბალახს ცელსა.
მიწამ შემჭამოს ადრე და მალე,
თუ შევაჭამო მე ნიშა მგელსა!
ზამთრის საზრდოსა მამა უმზადებს,
მწვანე თივასა-სამყურას ხმელსა,
ოფლში უცურავს საწყალს გულ-მკერდი,
არ გააჩერებს ერთს წუთას ხელსა.
შევსცქერი ნიშას და თანა ვფიქრობ,
რომ გამიხდება ერთიდან ოცი.
გასუქდი, ნიშავ, კარგა გასუქდი,—
ყელ-ყურშია ვფხან, თვალ-წარბში ვკოცნი.
ვალში მოვალეს ნიშას ვერ მივცემ,
ვერც ფოსტის ფულში გამიყიდიან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ გაჰბედავენ „ბორჩიკ“-გზირები,
შევაკლავ თავსა, კარგად იციან.
წაიღონ, სახლში სხვა რაცა ჰპოვონ,
უკანასკნელი წაიღონ ძონძი.
ნიშაა ჩემი დიდი იმედი,
ჩემის ქოხისა არს დედა-ბოძი.
შევსცქერი ნიშას და თანა ვფიქრობ,
რომ გამიხდება ერთიდან ოცი.
გასუქდი, ნიშავ, კარგად გასუქდი,—
ყელ-ყურშია ვფხან, თვალ-წარბში ვკოცნი.

ვაჟა-ფშაველა

გაზაფხული

ია! ტია! ტია!
— ფრთხხ! ფრთხხ!..
— გოგია! გოგია! ბიჭო გოგია!
— კაკუ! კაკუ! კაკუ!
— გუგუ! გუგუ! გუგუ!
— ტრრრ... ტრრრ!..
— ღუ... ღუ... ღუ!..
— შრრ... შრრ...

გაისმა ჰაერში ათასნაირი ხმა ფრინველებისა. ერთი მეორეს ეჯიბრებოდა, ერთი მეორეს ეტოქებოდა. ბულბულის ტია—ტიას ისარივით მისდევდა შაშვის სტვენა. ბიჭოგოგიას ხმას ხეკაკუნას კაკუნი დიმპლიპიტოსავით ასდევდა, ტოროლას მწვანე ჯეჯილის თავზე, „ტრიას“ შემოძახილს ტყიდამ გუგული ეხმაურებოდა; რუხრუხა წყარო, როგორც პატარძლებს, პირსა ჰბანდა თვის ჯარშემო ჩამწკრივებულს ყვავილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულით აღსავსე გვრიტი თხილნარიდამ ეღუღუნებოდა მათ, ხოლო ნიავს კი, როგორც მარდ შიკრიკს შრიალით მიჰქონდა მათი ჰანგები არემარის ყოველ კუთხისკენ.

უხაროდა იას, რომელსაც კორდი დაეფერადნა ლურჯად. უხაროდა ვარდს, რომლის კოკრებსაც საკოცნელი ტუჩები გადაეშალათ. ბალი ნაირ-ნაირს ხეხილის ყვავილით აჭრელებულიყო. ტყის მწვანე კაბას შინდი ყვითელი ქარვის თვლებით ჰქარგავდა. ვაზის კვირტს სიხარულის ცრემლები გადმოეფრქვია. მთას კი თვის კალთებიდამ ნისლი აეკრიფა, წაელო ზევით და იქ თვის მწვერვალზე აშენებდა მათგან ათას ნაირ კოშკებს, ქალაქებს.

გამთბარიყო საქონლის ზურგიც. მინდორს ახმაურებდა ცხვარ-ბატკანი, ძროხა...

ოფლით მონამული გლეხის მკერდი სიამოვნებით სძგერდა და იმის მადლიანი მარჯვენა სცემდა დედამიწას თოხსა და ბარს.

ჰაერში კი განუწყვეტლივ ისმოდა ისევ ის:

— ტიავ! ტიავ! ტიავ!

— გუგუ... გუგუ... გუგუ!..

— კაკუ... ტრრ... კაკუ... ტრრ...

და ნიავსაც დაუზარებლივ მიჰქონდა ეს ჰანგები გაზაფხულის გაცოცხლებულს არემარეში.

ი. ევდოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაფხული

ალალო, ჰარიჰალალო, ჰარალოდაა...

გაისმა რიჟრაჟზედ მეურმის ხმა და მისი შოლტის ტყლაშუნი. აღმოსავლეთი ისე შეღებილიყო წითლად, თითქოს იქ ვიღასაც ცეცხლის დიდი კოცონი აენთო. ამოდიოდა დიდებული, ცხოველმყოფელი მზე, მაგრამ მისთვის ხალხს უკვე აესწრო. მინდორი, ველი, ბალი, ვენახი ყველა ხმაურობდა. ნამგალი ყანაში დასრიალებდა, თოხი ვენახ-ბაღებში და კალოში-კი იშლებოდა ოქროს ფერი ძნა, რომ მზის ამოსვლისათანავე კევრს გაესრიალა ზედ და ნიშა ხარს ფერხული ჩაება. არ ეძინათ ფრინველებსაც: ზოგი მინდორ-ბაღებისკენ მისრიალებდა სანადიროდ, ზოგს-კი უკვე ენადირნა და ნისკარტით მოჰქონდა ბარტყებისათვის საუზმე. ცელქი კურდღელი ნამიან ბალახს სწუწნიდა. ტოროლა ხან ჰაერში აინავარდებდა „ჭრიაჭიას“ გალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, ხან დაეშვებოდა ძირს ყანისკენ, რომ თავთავისთვის ნისკარტი ჩაეკრა. მოღლილი ბულბული განთიადის გალობაში უკანასკნელ ჰანგებს აკვნესებდა. მალე წითლად შეღებილს აღმოსავლეთზე ამოცურდა უშველებელი ოქროს ბურთი და გადმოჰყარა სხივები დაბლა ბარისაკენ. ეს იყო მზე, ის დიდებული მზე, რომელიც ცის კიდურზე თვის ამოსასვლელ გზას მორთავს ხოლმე წითელი ფიანდაზით. სამუშაოდ გამზლილ ხალხის ხმაურობამ უფრო იმატა. მომკლებმა ნამგლის მოსმას დაუჩქარეს, ვენახში მომუშავეთ თოხის ცემას,—ეშურებოდნენ სიგრილეს, ეშურებოდნენ, ვიდრე დაცხებოდა...

მოატანა შუადღემაც. ხმაურობამ თანდათან იკლო. მზე ცის გუმბათზე მოექცა და ისე მძლავრად დააჭირა თავისი სხივები დედამიწას, კაცს ეგონებოდა, მალე ცეცხლის ალი ავარდება და მთლად გადაბუგავს არემარესო. ფრინვლებმა ტყეს მიაშურეს, მუშებმა ჩრდილოს. ყველანი ისვენებდნენ და ელოდნენ, როდის გადიხრებოდა მზე დასავლეთისკენ, რომ კვლავ მისეოდნენ სამუშაოს. ამ სიცხე-პაპანაქებაში არ ისვენებდა მხოლოდ გვრიტი.

— კრუ... კრუ... კრუ... დასძახოდა ის მიყუჩებულ არემარეს თითქოს ეძახდა სამხრობის გრილს ნიავს, როდესაც მეკალოვეს ჰოროველა და მომკლების „მუშური" კვლავ აახმაურებდნენ მინდორს, ვიდრე საღამოს ბინდ-ბუნდში არ ამოცურდებოდა ბადრი მთვარე, რომელიც შრომისაგან მოღლილს სოფელს დაანათებდა ზეციდამ, ხოლო ბულბული-კი ძილის პირს დასძახებდა მას.

ი. ევდოშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომა

ა მოქურუშებული დაჰყურებს დედამიწას. მზე ხან გამოანათებს ღრუბლებიდან, ხან იმალება, თითქო შემოსწყრომია დაბლა არე-მარეს: მინდორს, ველს, ტყეს, მთას. დაჰბერა ჩრდილოეთის ცივმა ნიავმაც.

შრრ... შრრ... დაიშრიალა ბაღში ვაშლის ხემ და ჩამოჰყარა ძირს გაყვითლებული ფოთლები.

შრრ... შრრ... ასევე უპასუხა კაკალმაც და გაყვითლებული, დაავადებული ფოთლებით მოჰფინა დედამიწა.

ნიავმა რამდენჯერმე კიდევ გაურბინა ბაღს, შეარხია ნუში, ატამი, ვარდის ბუჩქი და სხვა მათი მეზობელი ხეები. ყოველ შერხევაზე ისინი იცრემლებოდნენ, ტოტები ეძარცვებოდათ და დედამიწას-კი ეფინებოდა ყვითელი სუდარა.

ამ სუდარას შემოდგომა ეხლა იმავე ფოთლებიდამ ჰკერავდა, რომლებითაც გაზაფხულმა ზურმუხტის ფერად აამწვანა ბაღი. ასევე ემართებოდა ტყესაც, მასაც შესეოდა შემოდგომა. მის ირგვლივ მინდორიც დაღონებულიყო; ჩაყვითლებულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელში მოტეხილს ბალახს თავი ძირს დაეხარა, თითქო ტიროდა იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც მას ზაფხულის ნიავი არწევდა, ტოროლა თავზე დამღეროდა და მეზობელ ყანიდამ ატკბობდა მწყერის ჭუკჭუკი.

მთა?! მთაც ხომ ერთიან გამოიცვალა და დაღვრემილი დასცქეროდა ბარს. მის მწვერვალებზე შავი ღრუბლები, თითქოს ომობენო, ირევიან, იხლართებიან ერთმანეთში, მერე უცებ შორდებიან ერთმანეთს, ზოგი მთის ნაპრალში წვება, ზოგიც მოიზლაზნება ქვევით ბარისაკენ დინჯად, ოქლემის ქარავანივით.

გაქრნენ, წავიდნენ ზაფხულის მხიარული დღეები. აღარც ბულბული, აღარც მოლაღური, აღარც თავსავარცხელა ოფოფი, და თეთრგული და შავქათიბა მერცხალი! ყველა ცდილობდა, გასცლოდა, გაჰქცევოდა შემოდგომას. მხოლოდ ხანდახან მინდორს ახმაურებს გუთნის მეხრე თვისი წკრიალა ხმით და ახალისებს მოღლილ ხარ-კამეჩს. გუთანს-კი ბელტო ბელტოზე გადააქვს, აშავებს დედამიწას, ზოლებად აწყობს კვლებს, რომ შემოდგომის წვიმამ მორწყოს ნახნავი და გაზაფხულმა კვლავ ააფეთქოს მწვანე ჯეჯილი.

ი. ევდოშვილი

ზამთარი

ავისრულდა ნატვრა, თოვლი მოსულა!— მახარა მამაჩემმა დილა ადრიან და ბუხარში შეხვეულს ცეცხლს ღვიძება დაუწყო.

ერთს წუთს ზეზე წამოვიჭერი! საჩქაროდ ჩავიცვი ტანსამოსი და გამოველ ეზოში.

ღმერთო ჩემო, რა კარგი სანახავი იყო არე-მარე! ბაღში ხეებს თეთრი ჩურჩხლები დაესხათ, ტყე გუშინდელებრ აღარ გამოიყურებოდა შავად, ისიც საახალწლოდ თეთრს ქულაჯაში გამოწყობილიყო, მინდორი თეთრს თვალგადუწვდენელს ხალიჩას მოეფინა. მთა კი, ბუმბერაზი მთა მედიდურად დასცქეროდა მიდამოს ზევიდამ და თვის თეთრს თექას ყველას სიამაყით უჩვენებდა.

ყველაფერი თეთრად იყო შემოსილი, თითქოს პირობა შეეკრათ, რომ ასე მიჰგებებოდნენ მამა—ახალ-წელიწადს.

— ყვა, ყვა, ყვა!. დაიჩხავლა ყვავმა და დაეშვა ძირს, ჩვენი სახლის ახლოს კაკლის ხეზე. ბელურეები და ორი კაჭკაჭი-კი უკვე საუზმეს შეექცეოდნენ ჩვენს ქათმებთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ექნათ საწყლებს, თოვლს ყველაფერი დაეფარა. ბა სად რა ეშოვათ საჭმელად? ცოტახანს შემდეგ ბაღში შაშვმაც დაიჭახჭახა და ამოფრინდა ღობეზე, მიტრიალ-მოტრიალდა აქეთ-იქით, მტერი ვერსად დაინახა და ისიც ბელურეებს ამოუჯდა გვერდში. ყვავი-კი, მშიშარა ყვავი, ვერა ბედავდა სწვეოდა გულკეთილ ქათმებს; კისერი მხრებში ჩაეყო, თავი ძირს დაექინდრა და დაღონებული უყურებდა შორიდამ.

ჩვენი ბოჩოლაც ბელელიდან გამოვიდა და გაემართა მახლობელ რუსკენ. ემჩნეოდა, არ ესიამოვნა თოვლის მოსვლა. უხალისოდ მიდიოდა, ზლაზვნით და სიცივისაგან ბეწვი მაღლა აეშვა.

მე მათს ყურებაში ვიყავ გართული, მაგრამ ზურგში დახლილმა თოვლის გუნდამ გამომაფხიზლა. ამხანაგები ჩუმად წამომპაროდნენ უკანიდან და შეიარაღებულიყვნენ თოვლის გუნდებით, რომლებიც ბლომათ ეწყოდ ჯიბე-უბეში. მტერს დახვედრა უნდოდა და მეც დავწვდი თოვლს. გაჩაღდა ბრძოლა. თანდათან ერთმანეთს ვუახლოვდებოდით და ბოლოს-კი ვწვდით ერთმანეთს ხელებით. მალე ჩვენც ყველანი თეთრად შევიმოსენით და, ვინ იცის, — კიდეე რამდენხანს გასტანდა ბრძოლა, რომ ჩვენს გვერდით არ ჩამოესრიალა ციგას, რომელშიაც ჩემი ბიძაშვილი გამოჭიმულიყო და ორი მისი ამხანაგი-კი შიგ შებმულიყვნენ.

— ციგაობა! ციგაობა! — დავიძახეთ ყველამ ერთხმივ, შევწყვიტეთ ომი და დავედევნეთ უკან მოსეირნებს. მალე მათ ციგაში ჩვენ გამოვიჭიმეთ და ისინი-კი სწრაფად მიგვასრიალებდნენ. თოვლი ამდროს პატარ-პატარა ვარსკვლავებივით, გამალებული ჩამოდიოდა ზეციდამ, თითქოს მასაც უხაროდა ჩვენი ჟრიამული, სიცილი, თამაშობა.

დიახ, ასე მხიარულია და ლამაზი თეთრქულაჯა ზამთარი და მეც ამიტომ მოველი ხოლმე ასე მოუთმენლად.

ი. ევდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეუბრალეგელი

(მოთხრობა)

I

არჩილმა ლონივრად მოსწია თოკს, რომელიც მოება ჯოხის ცხენისთვის, მათრახი დაუქნია და გააჭენა. სიამოვნებისგან ლოყები დასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდნენ, სწორე გზაზე ნიავსავით მიჰქროდა. არჩილის თვალ წინ კრთებოდნენ სხვა და სხვა მომხიბვლელი საგნები, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა; არც კი შეუხედნია ბავშვებისთვის, რომელთა ჟივილ-ხივილიც ამის ყურამდის აღწევდა. არჩილი გალაღებული ჯირითობდა, ვიდრე მთლად არ გაოფლიანდა. ბოლოს გაახსენდა, რომ მეტის მეტი სირბილი ცხენსაც დაეღლიდა და გადასწყვიტა დაესვენა. შეუხვია მარჯვნივ, სადაც გრძელი კუნძი ეგდო. ცხენი მიაბა, თვითონაც ქშენით დაეშვა ხეზე, შუბლზე ხელი მიიფარა და აიხედა მაღლა. მოკრიალებულ ლაჟვარდ ცას კაშკაში გაჰქონდა, მზის სხივები თვალსა სჭრიდნენ, დედამიწაზე-კი გზავნიდნენ ზომიერ სითბოს.

არჩილს მოესმა სტვენა. გზაზე მოდიოდა ფეხშიშველი პატარა ბიჭი, შარვალი მუხლებამდის აეწია, მხარზე გაედო წვრილი ჯოხი, რომელსაც წვერზე გრძელი თოკით ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანკესი მობმული, მოდიოდა ლიღინით, თან არჩილს ... არ აშორებდა.

ბავშვებმა ერთმანეთს თვალითვალში გაუყარეს. არჩილს გულმა ვეღარ მოუთმინა და ჰკითხა:

— ეგ რა არის?

პატარა ბიჭს გაუკვირდა არჩილის გამოლაპარაკება, შემდეგ სიამოვნებით გაიღიმა და გაჩერდა.

— ეგ რა არის, მხარზე რომ გაგიდვია? გაუმეორა კითხვა არჩილმა.

— თევზების საჭერი ანკესია, შენ კი არა გაქვს?

— არა. აბა მაშ დაჭერილი თევზებიც მაჩვენე!

— დღეს ვერ დავიჭირე. ხვალ-კი, თუ გინდა, უთუოდ გაჩვენებ.

— ძნელია თევზაობა? არ ეშვებოდა არჩილი.

— სულაც არა.

— წყლისა არ გეშინიან?

— არა, რად უნდა მეშინოდეს?

— რომ დაირჩო? მე მამა არ მიშვებს წყალზე, დაირჩობიო.

— რატომ მე არ ვირჩობი მერე? როდესაც კარგი დარია, ხშირად ვთევზაობ, მაგრამ ერთხელაც არა შემმთხვევია-რა.

— მართლა?

— მართლა მაშ! შენ აქ რას აკეთებ?

— მე? ცხენით ვჯირითობ.

— აბა სად არის ცხენი? ბავშვმა გაოცებით მიიხედ-მოიხედა.

— ვერა ხედავ? აგერა! ამ სიტყვებით არჩილმა უჩვენა კუნძზე მიყუდებული ჯოხი.

— ჰოო, ეგ არის? მე მართალი ცხენი მეგონა, წარმოსთქვა პატარა ბიჭმა და სახეზე დამცინავმა ღიმილმა გადურბინა.

— რა დროს ჩემი მართალ ცხენზე ჯდომაა, ჯერ პატარა ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც რავდენი ხნისა ხარ?

— შვიდი წლისა.

— მაშ შენზე ერთი წლით ვყოფილვარ უფროსი. მე სულაც არ მეშინიან ცხენისა. ისე გავაჭენებ, რომ ჰა!

— მეც ვისწავლი ცხენზე ჯდომას. მამა დამპირდა, როცა მოიზრდები, ცოცხალ ცხენს გიყიდიო.

— მე სულაც არა მყავს ცხენი.

— მაშ ვის ცხენზე ზიხარ ხოლმე?

— ცოტაა აქ ცხენი ოუ! აბა გაიარე იქით, ნახე სოფლელებს, რავდენი ცხენი გაუშვიათ მინდორზე! რომელიც მომეწონება, დავიჭერ ხოლმე და ჰერიი!.

— პატრონები განებებენ?.

— იმათ ვინ ჰკითხავს?

— დედა და მამა არ გიჯავრდებიან?

— იმათ ვინ ეტყვის?

არჩილმა გაოცებით დაუწყო ყურება ბავშვს.

ამ დროს ჟივილ-ხივილით ჩამოირბინეს ბავშვებმა თან მოათრევდნენ პატარა ურემს, შემოხედეს არჩილს და მის მობაასეს, გაოცებით მოაჩერდენ პირველს და მეორეს-კი გამობღვირეს. პატარა მეთევზე შეკრთა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა ეს არჩილს არ დარჩა შეუნიშნავი და, როდესაც ბავშვებმა კარგა მანძილი გაიარეს, მოუბრუნდა ისევ თავის ახალ ნაცნობს.

— შენ იცნობ მაგ ბავშვებს?

თომამ, ასე ერქვა პატარა ბიჭს, მორცხვად გაიხედა ვერდზე და გაუბედავად წარმოსთქვა.

— როგორ არა.

— რად შემოგბღვირეს? ნაჩხუბარნი ხომ არა ხართ?

— ჰო, ვართ,—უპასუხა თომამ და ამოიოხრა.

— მერე არ გაწუხებს?

— მაწუხებს, ნაგრამ რა ვუყო?

— მაშ შეურიგდი.

თომა შეკრთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა! საჭირო არ არის! მე უიმათოდაც კარგადა ვარ!

— ვისთან თამაშობ ხოლმე?

— წინად მაგათთან ვთამაშობდი და ეხლა-კი აღარავისთან, ნაღვლიანად დაუმატა თომამ. არჩილს შეეცოდა ბავშვი, ხელი მოჰკიდა და შეხედა სახეში.

— გინდა მე და შენ ვითამაშოთ ხოლმე?

თომას სახე გაუბრწყინდა.

— რატომაც არ მინდა.

— სად არის შენი სახლი?

— აი აგერა! თომამ გაუშვირა ხელი იმ მხარეს, საითაც დიდი სახლი იყო.

— აიგერა ხის ორი ოთახი რომ არის, ის არის ჩვენი ბინა.

— მაშ ჩვენზე სულ ახლო ყოფილხარ. აიგერა ჩვენც იქა ვცხოვრობთ, სთქვა არჩილმა და ანიშნა დიდ შენობაზე.

თომამ არჩილის უთქმელადაც იცოდა, რომ არჩილის მამა დიდი ხანი არ იყო, რაც მსაჯულად გადმოეყვანათ ამ დაბაში, მაგრამ მაინც გულდასმით მოუსმინა არჩილს.

— თომა! მოისმა ამ დროს ვილასიც ხმა.

— მამა შენი გეძახის!

— ჰაუ, მოვდივარ! ხმა მისცა თომამ და მოუბრუნდა არჩილს.

— შინ უნდა წავიდე.

— მეც წამოვალ, მიატანა არჩილმა და ადგა ზეზე.

ბავშვები მიდიოდნენ. ორივე რალაც ფიქრებს გაეტაცათ და ერთმანეთს აღარ ეხმაურებოდნენ.

— მაშ თქვენთან მოვიდე? იკითხა ბოლოს თომამ და შეჩერდა არჩილის სახლთან, რომლის აივანზედ არჩილის მამა ვადმომდგარიყო.

— არჩილ, ამხანაგიც გიშოვნია? ღიმილით გადმოსძახა მან შვილს. თომას გულში იამა ეს სიტყვები.

— ვიშოვე, მამა, ერთად ვითამაშებთ ხოლმე, შეიძლება?

— რატომ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მალე მოვალ და წავიდეთ აქვე ტყეში. მე იქ ბევრ რასმე გაჩვენებ,—ხმა დაბლა უთხრა თომამ და თვალები გაუბრწყინდნენ, არჩილმა კმაყოფილებით თავი დაუქნია და ბავშვები მოშორდნენ ერთმანეთს.

II

თომამ დიდხანს არ ალოდინა არჩილი. ეს მალე მოვიდა და მოკრძალებით გაჩერდა კარებთან. ის იყო არჩილმაც გაათავა საუზმე, თავზე ჩალის ქუდი დაიხურა და გამოვიდა. ამან არ იცოდა, რომ თომა უკვე დიდი ხანია კარებზე უცდიდა.

— შენ კიდევაც მოსულხარ? —შესძახა ამან მხიარულად და ხელი მოჰკიდა. თომას ტანისამოსი გამოეცვალა, ჩუსტები ჩაეცვა, სუფთა ხალათი, და დაბანილ დავარცხნილი, მიმზიდველი ბიჭი მოჩანდა.

— სად წავიდეთ, თომა?

— წავიდეთ აიქით, ჩვენსკენ ახლოა ტყე. მაყვალი დავკრიფოთ და სოკოებიც მოვძებნოთ.

— აქედგან შორს არის?

— ახლოა.

ბავშვებმა ხელი ხელს ჩაჰკიდეს და გაიქცნენ. მალე ხეებში მიიმალნენ. არჩილი აღტაცებით იხედებოდა აქეთ-იქით, თომა წინ მიუძღოდა, გზაგზა ჰკრეფდა მაყვალს და თან სოკოებსაც ეძებდა.

— ნაწვიმარზე რომ მოვიდეთ, მაშინ ბევრსა ვნახავთ.

— აი, აი, შესძახა არჩილმა და ხელი წაავლო ერთ ჭრელ წითელ სოკოს.

— ეგ გლახაა, შხამიანია, ყველა სოკო კარგი-კი არ არის! იმასაც ცნობა უნდა.

— შენ იცნობ?

— როგორ არა! ჩვენ ხშირადა ვჭამთ ხოლმე.

ამ დროს მოისმა სულ ახლო რაღაც წრიპინი. თომას თვალები გაუცოცხლდნენ და მაღლა აიხედა ხეზე შოშიას

ბუდე გაეკეთებინა, დედა ტოტზე იჯდა, პირში მატლი ეჭირა
და ჩხაოდა; ეტყობოდა ვერ ბედავდა ბუდეში ჩაფრენას, რა-
ლაც აფრთხობდა.

— არჩილ, შოშია! შესძახა თომამ.

არჩილმა დაიწყო ბუდისკენ ცქერა.

— ჩამოეცალე აქეთ! ჩვენი ეშინიან. წასჩურჩულა თო-
მამ და უკან დასწია ბავშვი. მართლადაც ფრინველი დამშვი-
დდა, მალე ბარტყების კმაყოფილი ხმაც მოისმა. დედა შო-
შიამ დაიფთხრიალა და კვალად გაფრინდა საშოვარზე.

თომამ საჩქაროდ ფეხთ დაიხადა და აცოცდა ხეზე.

— სად მიხვალ, თომა? ჰკითხა არჩილმა.

— დაიცა, არჩილ, მე რაღასაც გაჩვენებ. ჩამოსძახა თო-
მამ, რომელიც კატასავით მიცოცავდა ხეზე.

თომა მალე გაჩნდა ბუდესთან. ბარტყებს ეგონათ, დედა
მოგვივიდაო, და გაშოჰყვეს თავები. თომამ მსწრაფლ წაავლო
ხელი ერთს მათგანს, გამოათრია ბუდიდგან და დაეშვა ძირს.

— შეხედე ამას! შესძახა თომამ და შოშიის ბარტყი წუთს
შუაზე გაგლიჯა, თითქო უნდოდა ამითი თავისი ყოჩაღობა
გამოეჩინა.

— ეგ რა ჰქენ, თომა? რა შეუბრალებელი ბავშვი ყო-
ფილხარ! შესძახა არჩილმა და გაფითრდა. მე შენთან აღარ
ვითამაშებ! საყვედურით დაუმატა ბავშვმა და უკან გადგა.

— შენ რა? შენ რა დაგიშავე? წარმოსთქვა დარცხვენით
თომამ და თავი ჩაღუნა.

— რას ერჩოდი?.. რა დაგიშავა?.. არ ეშვებოდა არჩილი.

ამ დროს ზემოდგან მოისმა საშინელი, სასოწარკვეთილი
ჩხავილი შოშიისა, რომელიც საშოვრიდგან მოფრენილიყო
და გლოვობდა დაკარგულ ბარტყს.

— არა, არა, მე შენთან აღარ ვითამაშებ. გადაწყვეტით
წარმოსთქვა არჩილმა, გამობრუნდა და დაღონებული ნელ-
ნელა წავიდა შინისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

თომამ დამძიმებული გულით თვალი გააყოლა მიმავალ, შემომწყრალ ამხანაგს, ნაღვლიანად დახედა გაგლეჯილ ბარტყს.

— შეუბრალებელი ყოფილხარ! შეესმა არჩილის საყვედურით სავსე ხმა.

— უგულო ბავშვი ხარ! ეს არა ერთხელ გაუგონია თომას წინადაც, ვიდრე არჩილს გაიცნობდა. თუნდ ის წინანდელი ბავშვები, რომლებთანაც თამაშობდა თომა, როგორ საჩქაროდ შემოეფანტნენ მას შემდეგ, რაც ჩხუბი მოუვიდა ერთ პატარა ბიჭთან და შეუბრალებლად სცემა! რა გულით მოინდომა არჩილმა ამასთან დამეგობრება, რა სიხარულით გამოჰყვა ტყეში, ეგონა სიამოვნებას მიიღებდა, მაგრამ თომამ უცებ შეაშინა, დააფრთხო.

თომას აწუხებდა წინანდელ ბავშვებთან დაშორება, ეხლა კი გაეხარდა, როდესაც არჩილს შეხვდა, მაგრამ არჩილიც დიდხანს არ შერჩა ხელში და მოშორდა. ისევ მარტო დარჩა. დედამაც ხშირადა სცემდა ჯიუტობისთვის, სახლში საქმეს თავს არიდებდა, ყურს იყრუებდა, როდესაც დედა დასაქმებდა რამეზე.

— შენკი რა გითხრა შენ, რო კარგი არ იზრდები აჰანდე! თავი გაგსიებია და სხვა სიკეთე კი არ გიჩანს საცოდავო, ვინ მიგიკარებს, ვის შეიფერებ, სულ ნადირივით ტყისკენ იყურები! ეუბნებოდა დედა, რომელიც მთელ დღეს წელ გაუმართავად მუშაობდა.

— წელებზე ფეხს ვიდგამთ, შე დაუნახავო, შეხედე მაინც მამაშენს, სახე აღარა აქვს, სამი თუმნის გულისთვის, რომ ლუკმა შევჭამოთ და შენკი ცეცხლზე წყალს გვისხავ შენი უხეირობითა!..

ამ გვარი საყვედურები თითქმის მუდამ დღე ესმოდა თომას, ცდილობდა სულ განზე მდგარიყო და თან და თან გაგარეულდა. თევზებს იჭერდა ფრინვლებს, დასდევდა, ტყეში დაყიალობდა, მაგრამ არც ესენი აკმაყოფილებდნენ თითქო თომას და სწყუროდა ცოცხალ არსებასთან ახლო ყოფნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თომა ისეთი ბოროტია, რომ ყველა უფრთხის, ურიდება!

თომამ მიიხედ მოიხედა. ტყეში არავინ სჩანდა, გარდა უბედურ თავზარდაცემულ შოშიისა რომელიც ხეს არ ეშვებოდა, თავს დასჩხაოდა თომას, თითქო სწყევლიდა, აყვედრიდა თავის უბედურობას. თომამ იგრძნო, რომ მართლადაც დიდი დამნაშავე იყო.

— ასე რომ არ მომხდარიყო, ეხლა არჩილი აქ ეყოლებოდა, ეს ბარტყიც არ მოკვდებოდა და ყველანი ბედნიერები, კმაყოფილები იქმნებოდნენ! ყველა ამისი მიზეზი კი თომაა!! ამ გახსენებით თომას ტანში გააზრიალა. გულმა ძალზე დაუწყო ძგერა და ნაღვლიანი თვალებით იყურებოდა შორს.

აქედან წასვლა მოუნდა, თითქო ეს ტყეც შესძაგდა, მაგრამ სად წასულიყო, ვისთან, როდესაც არავის არ უნდოდა თომა!

— არჩილთან! ჩაესმა ამ დროს რაღაც ხმა და თომა შეკრთა. ამ გახსენებაზე მომეტებული ნაღველი დაეტყო.

— აკი არჩილმა უთხრა,—მე შენთან აღარ ვითამაშებო?..

— არა, არჩილი კეთილი ბავშვია გაპატიებს! ჩასჩურჩულებდა ისევ ის ხმა.

არჩილთან წადი! შეჰკვნესოდა ძალზე აძგერებული გული. თომა წამოდგა, ნელ ნელა, ანგარიშ მიუცემლად გაჰყვა გულის თქმას. თვითონაც არ იცოდა, საით წასულიყო გრძნობდა, რაღაც ძალა იმორჩილებდა და წინ მიჰყავდა. თომა ტყეს მოშორდა და ველზე გავიდა. დიდხანს დახეტიალობდა აქეთ იქით, თითქო ვიღასაც ეძებდა. აგერა თვალი მოჰკრა ბავშვს და იცნო. არჩილი დახრილიყო და რაღასაც ჩასჩერებოდა. თომა წავიდა მისკენ, არჩილი ამას ვერ ხედავდა, გატაცებული ჩაჰყურებდა ერთ ჩათხრილს, საიდგანაც მარდად ამოდიოდ-ჩადიოდნენ ჯინჭველები და თან მიათრევდნენ მძიმე ტვირთს არჩილს ძალიან ართობდა მათი ფუსფუსი.

თომა გაჩერდა და ნაღვლიანად მიაჩერდა არჩილს, რომელმაც რაღაც უხერხულობა იგრძნო. ასწია თავი, მოიხედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაინახა თიმა რომელსაც თვალები ძირს დაეხარა. არჩილს გაუკვირდა მისი მოსვლა, მაგრამ ტუჩებზე შემაგრებული ღიმილი აღუჩნდა, უნდოდა არ შეემჩნია თომას მოსვლა და დაეპირა გამობრუნება.

— არჩილ მაპატიე! მოისმა ამ დროს ათრთოლებული ხმა თომასი.

არჩილი ეხლაკი მსწრაფლ მობრუნდა ბავშვისკენ. ამან შენიშნა, რომ თომას თვალებში უკრთოდნენ სინანულის ცრემლები.

— აღარ ვიზამ, არჩილ, მაპატიე! გაიმეორა კვალად თომამ და მთრთოლვარე ხელი გამოუწვდინა.

არჩილს სიბრალულისგან გული შეეკუმშა, მივიდა თომასთან და თანაგრძნობით გაუღიმა. თომას ხელს არჩილის ხელი ჩასჭიდებოდა და ორივეს თანდათან კმაყოფილება ეფინებოდათ სახეზე.

ანასტასია ერისთავი—ხოშტარია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხულის დილა

ზემ გაუცინა სამყაროს,
ხეივები ააპრიალა;
ყინვით დამზრალი გაათბო,
ახარა, აახმიანა.

ნიავმაც დაისისინა,
ფოთოლი შეაშრიალა,—
ყვავილთა სუნნელებანი
ჰაერში შეაფრიალა.

ბულბულმა დაჰკრა, დაჰკვნესა,
სიმღერა ჩააწკრიალა,
აღაფრთოვანა სულ ყველა,
სიამით შეაჟრიალა.

მერცხალმა გამოიღვიძა
შეინძრა, შეიფთხრიალა,
ფრთა ფრთას შემოჰკრა, უეცრივ
სივრცეში შეისრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეებით წყარო გადმოსკდა,
კენჭებზე ჩაიწკრიალა,
ყვავილებს სული შთაუდგა
საამოდ ააბზიანა.

ვიშ, რა დილაა, სულს ატკბობს,
გული გრძნობს ნეტარებასა!..
ნეტავი ალარ მოვესწროთ,
ზამთრისა მძვინვარებასა!..

დ. ელიოზიშვილი.



მუზიკის გავლენა ცხოველებზედ*)

ეუზიკას ისევე გრძნობს პირუტყვი, როგორადაც ადამიანი და ამ მხრივ სრულიად მართალი იყო მიშლე, რომ პირუტყვს ადამიანის უმცროსი ძმა უწოდა. მუზიკის გავლენა ცხოველებზედ აღნიშნულია უძველეს დროიდგან და ორფეს ამბავი,—თავის სიმღერით ტყის ნადირთ იმორჩილებდაო,—საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. იობის ჩიგნში სწერია: ცხენს რომ საყვირის ხმა მოესმის, „შორით იყნოსებს ბრძოლათა... ფეხითა აღმოთხრის ველსა ზედა, როკავს, განვალს ველსა ზედა ძლიერებითა, შემთხვეული ისრითა არა უკუნიქცევის“.

უმდაბლეს ცხოველებს—მატლებს, ლოკოკინებს—არავითარი გავლენა არ ემჩნევათ მუზიკისა. სულ სხვაა ობობა. ამ ყველასაგან აძულებულ ფეხსახსრიანს ისე უყვარს მუზიკა,

*) M. Daubresse: la musique et les animaux.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყოველგვარ შიშს ივიწყებს, ოღონდ ტკბილად დატკბეს.

ტუსაღის პელისსონის ერთად ერთი მანუგეშებელი ობობა იყო. დაუკრავდა თუ არა ჭიანურს, ობობა ძირს დაეშვებოდა და მკლავზედ აჯდა პატიმარს. გაათავებდა დაკვრას, და ისიც თავის ქსლისკენ მიეშურებოდა.

1800 წ. ქვეყანა გააკვირვა ერთმა ბავშვმა, ბერთომმა, თავის მუზიკალური ნიჭით. მამინაცვალი ცალკე ოთახში ამწყვდევდა, უფრო კარგად იმეცადინებსო, და ამ პატარასაც მანუგეშებლად ობობა ჰყავდა. ისიც ისევე მკლავზედ აჯდა და ისე ისმენდა ჭიანურს, მაგრამ ერთმა სტუმარმა, საკვირველი ბავშვის სანახავად მისულმა, ხელი დაჰკრა, ძირს ჩააგდო და გასრისა. ბავშვი სამი თვე ავად იყო იმის დარდით.

კომპოზიტორი გრეტრი ამბობს, როგორც-კი ხელს დავკრავდი ჩემს პიანინოს, მაშინვე ჩამოეშვებოდა ერთი ობობა და იჯდა ჩემს საკრავზედ, ვიდრე მუზიკას არ შევწყვეტდიო.

ცნობილმა პიანისტმა რუბინშტეინმა სამი კონცერტი გამართა ბრიუსსელში, „დიდ ჰარმონიის" დარბაზში,—ძველის ძველი შენობაა, დიდი ხნის გადაუკეთებელი. პირველ საღამოსვე, როდესაც შოპენს უკრავდა, ერთი უშველებელი ობობა ამოძვრა ესტრადის ქვეშიდგან და ზედ საკრავზედ დასკუპდა. ამოდენ ობობას „განდეგილს" უწოდებენ და ევროპაში მარტო მუზეუმებში მოიპოვება ცხელ ქვეყნების ცხოველთა შორის. გაისმა ტაში, ობობა მიიმალა; გაისმა მუზიკა, ობობა ისევ გამოძვრა და ისევ სმენა იწყო. სამივ კონცერტს ამგვარად დაესწრო ეს ობობა და თუმცა რუბინშტეინის წინადაც და შემდეგაც მრავალი კონცერტი ყოფილა ამ დარბაზში, ის იქ არავის უნახავს.

მწერები,—კალია, ჭრიჭინა და სხვ.—თავისებურ, ჩვენთვის უსიამოვნო ხმას იღებენ. სკაში ყოველთვის გაისმის რალაც ჩუმი, ერთგვარი ბზუილი, რომლითაც კარგი მეფუტკრე ადვილად გაიგებს სკის მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზებს არავითარი გავლენა არ ეტყობათ მუზიკისა.

ქვემძრომთა, მეტადრე გველის, სიყვარული მუზიკისადმი ყველასაგან ცნობილია და გველსა ხვრელით გამოიყვანს სიმღერა, ან რაიმე საკრავის ხმა. ინდოელები სიმღერით იზიდავენ და იჭერენ გველს. შატობრიანი სწერს, 1796 წ. ზემოკანადაში ვიყავ და ერთხელ ჩვენს ბანაკში ერთი უშველებელი ზარიანი გველი შემოსრიალდაო... ევროპიელები და ერთობ იქ მყოფნი განსაცდელს ერთმა კანადელმა გადაარჩინა. დაინახა თუ არა, წინ გაეგება. გველი შეჩერდა, კუდზედ შედგა, თვალები ცეცხლივით აენთო... ამ დროს კანადელმა სალამურს ჩაჰბერა. თითქო შეკრთაო, გველმა უკან წაიღო დასასუნთქავად გაღებული პირი, ნელნელა ძირს დაეშვა; კანადელი-კი უკრავდა და თან ნელნელა თითქმის შეუმჩნევლად კარავიდგან გადიოდა. გველი თან გაჰყვა.

არა ნაკლებ საყურადღებოა ხვლიკი. ამას ყველაზედ უმეტესად სიმღერის და სტვენის ხმა უყვარს.

ფრინველს მუზიკალურ გრძნობიერებასთან ერთად მეხსიერებაცა აქვს ჰატარპატარა სიმღერების დასასწავლად. ბულბული, მოლალური, ტოროლა და სხ. მგალობელნი რომ არა ვთქვათ, ამის საბუთს იმისთანა ფრინველნიც მოგვცემენ, რომელთაც ბუნებით ჩხავილის მეტი არა იციან რა. თუთიყუში ადვილად იზეპირებს და იმეორებს წვრილ სიმღერებს. დიუროდელა მალმა ერთს შროშანს მარსელიეზა ასწავლა.

მცოხნავთა სიყვარული მუზიკის და სიმღერისადმი ძველადგანვე იყო შემჩნეული და საცა კი საქონელს ამუშავებენ, თან მღერიან კიდეც, რადგან სიმღერით გართული ხარ-კამბეჩი და არაბეთში აქლემი უფრო მარდად და ლონივრად ეწევა თავის ტვირთს.

საფრანგეთში და შვეიცარიაში საქონელს კისერზედ ზარს აბამენ. ამ ხმას, ერთგვარს, და ჩვენთვის ასე მალე მოსაწყინარს, საკვირველად ეჩვევა პირუტყვი. ხშირად მოხდება ხოლმე, თუ ძროხას ზარი მოხსნეს და სხვას შეაბეს, იჩაგრება, ხდება და კვდება კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენი არა მარტო სიმღერას, ადამიანის ნათქვამის კილოს არჩევს და იმისი სიარული ამ კილოზედ არის დამოკიდებული: თუ გულმაგრად, ვაჟკაცურად შეუტია მხედარმა, ცხენიც თამამად მიდის; მაგრამ თუ ცოტაც არის შიში დაატყო, ცხენიც შინდება, დუნდება და მუხლი ეკეცება.

მუზიკას ცხენი ყოველთვის სიამოვნებით ისმენს, მაგრამ თუ ჰარმონია დაირღვა და ხმები აირია, მოუსვენრობას იჩენს და ფრთხვება. ჭიანურს სტვირი ურჩევნია და მეტადრე საყვირი.

1882 წ. საფრანგეთში აღლუმზედ ერთი კაპიტანი ახლად გახედნილ ცხენზედ იჯდა. გაისმა თუ არა მუზიკის ხმა, ცხენმა თავი წაართვა მხედარს, მივარდა მემუზიკეთა დასთან და იქ იყო, ვიდრე უკრავდნენ; მერმე-კი ისევ თავის ალაგს მიიყვანა მხედარმა. მაგრამ გაისმა მუზიკის ხმა და კვლავ მემუზიკეებთან გაჩნდა ცხენი. დიდი წვრთნა დასჭირდა ამ მელომანს, ვიდრე შეეჩვევოდა მუზიკის შორიდგან სმენას.

ცხენზედ არა ნაკლებ მოყვარულია მუზიკისა ჩვენი დიდყურა. ერთს ვირს ისე მოეწონა ქალის სიმღერა, რომ დალუნა თავი და პირდაპირ ოთახში შევიდა, რომ უფრო კარგად მოესმინა მართლა საგანგებო და ხელოვნური სიმღერა.

ბიუფონის სიტყვით სქელკანიანებს—სპილო, მარტორქა და სხ.—მეტად მახვილი სმენა აქვთ და გაგიჟებით უყვართ მუზიკა. სპილოს მაშინვე შეატყობთ, რომ ტკბება მუზიკით, და სიამოვნებით გატაცებული ტანს აყოლებს და მუზიკის ზომისამებრ იწყობს რხევას.

პარიზში დიდი რევოლიუციის დროს მართებლობის ბრძანებით სინჯეს მუზიკის გავლენა სპილოზედ. ზოოლოგიურ ბაღში დამწყვდეული ჰყავდათ დედალ-მამალი სპილო, ჰანსი და მარგალიტა. იქვე იყო იმათი მომვლელი ინდოელი. ორკესტრი ისე იყო მოთავსებული, რომ სპილოები ვერ დაინახავდნენ. პირველად წვრილი სიმღერები დაუკრეს, ტკბილი და წყნარი. სპილოები მეტად გააკვირვა ამ უხილავ მიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისგან მომდინარმა ხმამ, ამოძრავდნენ, მიდი-მოდიოდნენ, რაღასაც ეძებდნენ. საჭმელი, სულ საგანგებო ნუგბარი, მრავალი შეუყარეს განძრახ იმ დროს, მაგრამ ყურადღებაც არ მიაქციეს. ამ ტკბილ სიმღერას გლიუკის საცეკვი მოჰყვა სპილოები აჰყვნენ მუზიკას, ხან აქეთ ეცნენ, ხან იქით, თან ყვიროდნენ, უსტვენდნენ. მომვლელს ჰკითხეს—რა არის ეს, სიამოვნებისაა თუ გაჯავრებისაო? მაგრამ ინდოელმა დაბეჯითებით უპასუხა, სიამოვნებისა არისო. საცეკვი უცბად შეწყდა და გაისმა მარტო სალამურით დაკრული, მკვნესარი რომანსი. სპილოებიც მაშინვე გაჩერდნენ, ხორთუმი წაიწიეს უხილავ ორკესტრისკენ და ისე ისმენდნენ, თითქო ცდილობენ დაიჭირონ ეს ტკბილი ხმაო. ბოლოს ისევე უცბად და მოულოდნელად გაისმა მაშინდელი რევოლიუციური სიცოცხლით და რიხით სავსე „წავა, წავა!“ სპილოები გაგიჟდნენ: აჰყვნენ სიმღერას, ხან ერთმანერთს ეცნენ, ხან გალიის მოაჯირს, ყვიროდნენ, უსტვენდნენ... დროზედ რომ არ გაეჩუმებინათ ორკესტრი, გალიას დაანგრევდნენ.

ვინ იტყვის თაგვსაც უყვარს მუზიკაო? უწინ იცოდნენ, სათაგურს თვითმკვრელ მუზიკალურ კოლოფს დაატანდნენ ხოლმე და ასე იჭერდნენ ამ მავნე ცხოველს. დაკვირვება არის საჭირო, თორემ იქნება არც ისე უნიადაგო იყოს იბსენის პატარა ეიოლფში დახატული მეთაგვე დედაკაცი. მგელს ჭირვითა სძულს მუზიკა. მგლის მოსაგერებლად რამდენადაც იარაღია საჭირო, იმდენად საყვირი და ზარი. კატამ, თუ არ მოეწონა მუზიკა, კნავილი იცის, მაგრამ თუ მოეწონა დაფასებაც კარგად იცის. თეოფილე გოტიეს ერთი კატა ჰყავდა. როცა კარგი დამკვრელი ან მომღერალი მივიდოდა პიანინოსთან, კატაც ზედ შეხტებოდა საკრავზედ და ისე ისმენდა, ვიდრე მომღერალი მაღალ ლა-ს ასწევდა. ეს ლა-და კატის წამოვარდნა ერთი იყო, მივარდებოდა მომღერალს და თათს აფარებდა პირზედ, თითქო უნდა დააჩუმოსო.

ერთი კატა ყოველთვის პიანინოზედ იყო, როცა უკრავდნენ; და თუ არ უკრავდნენ, ოლონდაკი ახდილი დაენახა საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავი, თითონ უკრავდა: ავიდოდა სათითურებზედ, თავიდ-ბოლომდე გაივლ-გამოივლიდა, მეტად ფთხილად, ფეხ აკრეფით აბიჯებდა და თან ყურს უგდებდა გამოღებულ ხმას. ბოლოს ზედ გაწვებოდა და იყო ისე განაბული, ვიღრე მთლად არ შეწყდებოდა ყოველივე ბგერა სიმებისა.

დარვინი სწერს, ერთი ძაღლი ვნახე ქუჩაში მავალ მემუსიკეთაგან გულგახეთქილიო: პირი დაეღო, თავით ფეხამდე თრთოდა, გული იმისთანა სისწრაფით უცემდა, რომ შეიძლებოდა გულისცემის დათვლა, სულს ძლივსღა იბრუნებდა... და ადამიანიც ხომ სწორედ ასევე გამოხატავს შიშსაო, დასძენს მეცნიერი.

ამ გვარი გავლენა მუზიკისა ძაღლებზედ ყველას ეცოდინება. ვის არ გაუგონია, მუზიკის მიერ გამოწვეული ძაღლის ღმუილი? კაზიმირ კოლომბის ძაღლს იმდენად ეჯავრებოდა ჭიანურის ხმა, რომ წინადვე ღმუილს მოჰყვებოდა ხოლმე, როგორც კი დაინახავდა, რომ ჭიანურს აიღებდნენ ხელში.

დ-რი რიშარ მეადი სწერს: ერთს ძაღლს ჭიანურის ხმის გაგება არ შეეძლო, მაშინვე ღმუილს იწყობდა. საცდელად ჭიანური დაუკრეს და ის ხმა, რომელმაც უფრო მეტად ააღმუვლა მყეფარი, განაგრძეს; ძაღლი დაიხლაკნა და მოკვდა.

ერთი ქალის ძაღლი ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა პიანინოს, მაგრამ გაისმოდა ხრომატიული გამმა და ისიც საცოდავად ღმუილს გააბამდა.

ერთი რეიმსელი მომმართავი სწერს: ძაღლი მყავდა, საკვირველი მახვილი ყურის პატრონი; მანამ კარგად ვუკრავდი, სიამოვნებით მისმენდა, მაგრამ როგორც-კი სიყალბეს ჩავურევდი, მაშინვე ღმუილს მოჰყვებოდაო.

იგივე კოლომბი მოგვითხრობს, ერთს სახლში მეძებარი ჰყავდათ, რომელსაც ბინა პიანინოს ქვეშ დაედო და თავისი საყვარელი კომპოზიტორები ჰყავდა: სიამოვნებით ისმენდა მოცარტს, როსსინის, ბეტხოვენს; შუბერტი და მენდელსონი ოდნავ ააწკმუტუნებდნენ საწყალს; ვებერი და შოპენი-კი მთლად აშმაგებდნენ და იმისთანა ყეფას და ღმუილს ურევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრავის ხმას, რომ შეუძლებელია უარესის წარმოდგენა. ამასთან, რაც უნდა ეცემნათ, არ დაიძროდა თავის ადგილიდგანაო.

დარვინის აზრით ძუძოსან ცხოველთაგან მარტო მაიმუნს შეუძლიან სიმღერა. მაგალითად ერთს გიბბონს ასახელებს, რომელიც სრული სიმართლით აიღებდა და დაიღებდა მთელს ოქტავას.

სავუა ამტკიცებს, 20—50 შიმპანზე შეიყრება ერთად, რაღასაც მღერიან და თან ხეებს უკაკუნებენო.

მუზიკის გავლენა ცხოველებზედ ჯერ-ჯეროობით არ არის საკმარისად შესწავლილი, მაგრამ მის უარყოფა-კი შეუძლებელია. მრავალმა ცხოველმა იცის არა მარტო კოხტა სახლების აშენება, არამედ თავის ბინის მორთვა და გალამაზებაც. მით უფრო ადვილი წარმოსადგენია ცხოველთაგან სასიამოვნო და უსიამოვნო ხმების გარჩევა, მუზიკალური გრძნობიერება და ხშირად მუზიკალური მეხსიერებაც.

ი. მაჭავარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმაძღარი

(ვედრებისელისა)

№-ის გიმნაზიის საათმა თორმეტი დაჰკრა. გიმნაზიის შვეიცარი, გამხდარი, ქერა მიტროფანე უცბად წამოდგა, წამოავლო პატარა ზარს ხელი, აირბინა მეორე სართულში და ზარის ხმა-მაღლა წკარუნით შეატყობინა მოსწავლეებს მესამე გაკვეთილის გათავება.

გაისმა თუ არა ზარის ცელქი წკარუნი, მოსწავლეები უცბად აირივნენ, წამოცვივდნენ თავიანთ ადგილებიდან და მიაშურეს კარებებს. ბავშვები ჟივილ-ხივილით გაცვივდნენ დიდ სარეკრეაციო ზალაში. ზარის წკარუნი დიდხანს გაისმოდა გრძელ დერეფნებში და ბავშვები მსწრაფლ იკრიფებოდნენ დიდ ზალაში. მეორე სართულში უმცროსი კლასები იყო მოთავსებული და ამიტომ აქ ყოველ გაკვეთილის შემდეგ პატარა ქალების მხიარული ხმაურობა ისმოდა. ეხლაც ბავშვები, რომელი რომელს გაასწრებდა, კისკისით მირბოდნენ ზალის ერთ კუთხისკენ, სადაც საუზმის გამყიდველს მაშოს უკვე დაემზადებინა ცხელი გაფუნჩული კუპატები და კოტლეტები, რომლის სუნიც ნერწყვსა ჰგვრიდა მოშივნულ ბავშვებს.

ბავშვები ყოველ მხრივ შემოსეოდნენ გულკეთილს, ყოველთვის მხიარულს მაშოს და სთხოვდნენ საუზმეს.

— მე რატომ არ მაძლევ?! მაშო, კუპატი, მე კოტლეტი არ მინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე სამი კოტლეტი მომეცით!

— აი, მაშო, 4 კაპეიკი, კაპეიკს ხვალ მოგიტან, გეთაყვა, კოტლეტი ჩქარა!

— ერთი ბრინჯიანი კუპატი, მეორე კი ხორციანი!

ასე სწეწდნენ აქეთ-იქიდან ბავშვები მაშოს, ეს კი ძლივს ასწრობდა ოთხივ მხრივ საუზმის ძლევას.

— ოხ, ღმერთო ჩემო, პატარა მოითმინეთ, ყველას მოგართმევთ, ხუთი ხელი ხომ არა მაქვს?

ზოგიერთ ღარიბ მოსწავლეთ გიმნაზიის ხარჯით ეძლეოდათ საუზმე. ამ ღარიბ მოსწავლეთა რიცხვს ეკუთვნოდა სხვათა შორის სუსანა მეროფიანცი. სუსანა იყო პატარა, გამხდარი, შავგვრემანი ბავშვი; გრძელი შავი თმის გრეხილი ზურგზედა ჰქონდა გადაგდებული; დიდრონ შავ-თვალებში და პირისახეზედ რაღაც დარდი და ჭმუნვა ეხატებოდა. სუსანას სხვა ბავშვებივით ხალისი და მალხაზობა არ მოსდევდა.

ამ დღეს სუსანა კლასში მორიგე იყო, ზალაში გამოსვლა დაუგვიანდა და, რასაკვირველია, საუზმეს ვეღარ მიუსწრო. სუსანა გულ-ხელ დაკრეფილი ზალის კუთხეში ჩამოჯდა. დაღვრემილი უცქეროდა თავის უკვე მაძღარ ამხანაგებს, რომელნიც სიცილ-ხარხარით დასეირნობდნენ და მხიარულად ბაასობდნენ.

დილით სუსანამ მარტო ერთი ჭიქა ჩაი დალია, თან პატარა გამხმარი პურის ნატეხი შეატანა. რასაკვირველია ბავშვს ძრიელ შიოდა, თავი სტკიოდა, გული უღონდებოდა.

საბრალო ბავშვი შურით უყურებს კატო სკუბჩინსკისას, რომელიც იმის პირდაპირა ზის, კოტლეტი გაუთავებია და ახლა პურზედ გადაფარებულ ლორის ნაჭერს მადიანად შეექცევა.

— სუსანა! დაუძახა მას ნაცრის ფერ კაბაში გამოწყობილმა მაღალმა ქალმა, რომელიც, ეტყობოდა, საპედაგოგო კლასის მოსწავლე უნდა ყოფილიყო. ეს ქალი მილია რაზლეიკინა იყო. მილია ყოველთვის მეორე კლასში მორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეობდა, კეთილი გულისა იყო და ამიტომ ბავშვებს ძალიან უყვარდათ.

— მიიღე საუზმე? დაეკითხა მილია სუსანას.

— არა! დარცხვენით უპასუხა სუსანამ და წამოწითლდა.

— ხედავ, რა სულელი ხარ! ისევ გამოგეპარა საუზმე?

— მე დღეს მორიგე ვარ, კლასს ვალაგებდი და დამიგვიანდა. ზალაში რომ გამოვედი, აღარაფერი დამიხვდა, სულ დაეტაცნათ.—დამნაშავის კილოთი უპასუხა სუსანამ.

— მაშ, კარგი, წამომყევი, მაშოს ვეტყვი, საუზმე მოგცეს. აბა, ჩქარა, მომდიე, შე დოყლაპია შენა!

— მაშოსთან ვიყავი, იმას აღარაფერი აქვს.

— მოდი ჩქარა, სამზარეულოში კიდე დარჩებოდა რამე,—მოუბრუნდა მილია სუსანას, დაავლო ხელი და ერთს წუთს მიარბენინა მაშოსთან, რომელიც ის-ის იყო წასვლას აპირებდა.

— ბავშვი უსაუზმოდ დარჩენილა, მიეცით რამე, გეთაყვა!

— უი, გენაცვალე! სულ დაიტაცეს, აღარაფერი დამრჩა! სამზარეულოში კიდევ დარჩა კოტლეტები, წამომყვეს და იქ მივცემ, ღიმილით დაათავა მაშომ. სუსანაც თან გაჰყვა.

— ღმერთო ჩემო, რა უბედური რამ არის ეს მეროფიანცისა, ეუბნებოდა რაზლეიკინისა თავის ამხანაგს, მასავით საპედაგოგიო კლასის მოსწავლეს, როდესაც მაშო და სუსანა ზალიდან გავიდნენ: „ძვალი და ტყავია საწყალი, სხვა არაფერი“!

— სუსტი შეგირდია, მგონი?

— რა ქნას საწყალმა? ძალა არ მოსდევს, რომ ისწავლოს.

— იცი, მილია, ამხანაგებთან მაგ ბავშვს, მგონი, ვერა აქვს კარგი განწყობილება.

— არ მესმის, რატომ არ უნდა უყვარდეთ სუსანა ამხანაგებს? მშვიდი და უწყინარი ბავშვია, ამხანაგები-კი „გაუმაძღარს“ ეძახიან, სევდიანი კილოთი წარმოსთქვა რაზლეიკინისამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაზედ მეტად-კი იაბლონსკის ქალი სდეგნა—სუ-სანას.

— რა რიგად მეჯავრება, ეგ გასაწყვეტი იაბლონსკისა,— ზიზღით მიუგო მილიამ

— საშინელი უდიერი და მასთან მკვეხარა რამ არის.

რაზლეიკინისა დაკვირვებული იყო და ნათლად ხედავდა, როგორი ცუდი განწყობილება ჰქონდა იაბლონსკისას თავის ამხანაგებთან.

სამზარეულოში მისვლისათანავე სუსანამ მიიღო კოტ-ლეტი, შეუმჩნევლად გაძვრა, სადაც ბავშვების პალტოები ეკიდა; განაპირას, ჩამობნელებულს კუთხეში, მოძებნა თავისი გახუნებული პალტო და თავისი საუზმე, ქაღალდში გახვეული ჯიბეში შეინახა. ჯიბეში შენახული კოტლეტი რომ შეუმ-ჩნეველი დარჩენილიყო, ბავშმა პალტოს კალთა გადააფარა.

— ასტღიკი ეხლა სულ ჩემს მოლოდინშია! ჩემი საყვა-რელი, საბრალო პატარა ასტღიკი! რა ძრიელ უყვარს კოტ-ლეტი! როგორ უცინის თვალები, როდესაც კოტლეტის ჭა-მას დაიწყებს ხოლმე. დამინახავს თუ არა, გაიღიმებს ხოლმე, მომიახლოვდება და მიცინის,—როდის ამოიღებ ჯიბიდან გიმნაზიაში მოცემულ საუზმესაო.

ამ ფიქრებში იყო გართული სუსანა, როდესაც იგი მეორე სართულში მიდიოდა. დიდ ზალაში ბავშვები კვლავ ცელქო-ბდნენ. საუზმე უკვე გაეთავებინათ, მაგრამ ჰაერი კიდევ გა-ჟღენთილი იყო საჭმელების სუნით, რომელიც პირწყალსა ჰგვრიდა სიმშილისაგან ფერმიხდილ სუსანას. დალონებული და დასუსტებული ბავშვი კუთხეში ჩამოჯდა და თავჩაღუ-ნული ფიქრობდა თავის მაძღარ ამხანაგებზედ. თვალწინ ეხა-ტებოდა წითლად გაფუნჭული კუპატები, წვნით სავსე კოტ-ლეტები, ლორი და ყოველივე ის, რასაც ისე ხშირადა ხე-დავდა ხოლმე ზალაში.

— სუსანა! მე სულ შენ დაგეძებდი, სადა ხარ?! უცბად საიდგანღაც გაჩნდა სკუბჩინსკის ქალი და ჩაუდო კალთაში პატარა კალათა,—აჰა, დაიჭი, მანდ ცოტა რამ შეგინახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსანას კატო სკუბჩინსკისა ძრიელ უყვარდა და მხოლოდ მისგან მიიღებდა ხოლმე საუზმეს.

სუსანამ მადლობა უთხრა კატოს და სიამოვნებით გამოართვა კალათი.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩა იაბლონსკისას, რომელმაც უცბად ხელი წაჰკრა მის გვერდზე მდგომ დინა მედვედევისას.

— ერთი შეხედე, რა გაუმაძღარია ეს მეროფიანცისა! თავის საუზმე გაუთავებია და ეხლა სხვის მიცემულსაცა სჭამს!

— მაგდენსა სჭამს, მაგრამ ნაფოტსავით გამხდარი-კი დაიარება, ჩურჩულით უპასუხა დინამ.

— ბაყაყივით გამწვანებულა, ლამის თვალები გადმოსცვივდეს! საძაგელია! ზიზღით განაგრძო იაბლონსკისამ, - არ მესმის, რად უნდა უყვარდეს ეგ ალექსანდრა ივანოვნას?!

— ლაქუცა არის და იმიტომ უყვარს! ამტკიცებდა დინა.

ამ დროს ზარის წკარუნი მოისმა ბავშვები აირივნენ, ახმაურდნენ და სირბილით გაემართნენ კლასებში. დიდი ზალა უცბად დაცარიელდა.

გიგო ჯაფარიძე

(შემდეკი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცელქის დღიურიდან

(გაბბერტონისა)

თავი I

როგორ დავიწყე ჩემი დღიური

უშინ რვა წლისა გავხდი. დედამ მკითხა: რა გაჩუქო შენი დაბადების დღესაო?

— დედილო, — ვუთხარ მე — მაჩუქე სქელი ყდიანი რვეული. ჩემს უფროს დებს სამივესა აქვთ თითო დღიური და მეც მინდა ვიქონიო.

დედამაც მიყიდა. მე მაშინვე გავიქეცი ლილის ოთახში, რომ გადმომეწერა რამე მისი დღიურიდან, მაგრამ ის დღიურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდის უჯრაში ინახავს. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მივუყენე ერთი გასაღები და ყუთი გავაღე. მადლობა ღმერთს, ლილი ოთახში არ იყო და მთელი გვერდი გადმოვიწერე.

მე სამი და მყავს: ლილი, ბეკკი და სუზია. სამთავეს ჩვეულებადა აქვთ ღამით წერა. გაიხდიან თუ არა ტანისამოსს და დაივარცხნიან თმას, მაშინვე მიუჯდებიან მაგიდას დღიურის საწერად. სწერენ და სწერენ... ხანდახან რამდენსამე გვერდს ამოხევენ და, რასაც-კი დასტოვებენ, დაკეტილში ინახავენ.

დღეს ერთი კაცი გვესტუმრა, გვარად სმიტი; ის თითქმის ყოველ საღამოს მოდის ჩვენსა. ბებერია, საძაგელი შესახედავი; ლილის შერთვა უნდა. ჩემი დები სულ დასცინიან. წერა რომ გავათავე, წავიღე ჩემი რვეული და ძირს ჩავედი სასადილო ოთახში. სმიტიც იქ დამხვდა.

— ეს რა გაქვს ხელში?—მეკითხება სმიტი. მე ხმას არ ვიღებ.—აჰა კონფეტები! მაჩვენეო... ვაჩვენე. გამომართვა რვეული და მთელი გვერდი ხმა მაღლა წაიკითხა. მერე იცით? ლილი და ბეკკიც იქვე ისხდენ.

„რად დაეთრევა ეს ბებრუცანა სმიტი მუდამ ჩვენსა? კვირა საღამოსაც მოვიდა. მე მისი შეხედვაც მეზარება და თავის დღეში არ შევიყვარებ. დედა გაიძახის, მდიდარი და კარგი კაცია და ძლიერ სურს ლილის შერთვაო, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს! რა საძაგელი ყელსახვევი და ვეებერთელა წითელი ხელები აქვს! სულ თავის სახლებზე ლაპარაკობს. უმჯობესია შორს წაეთრიოს ჩვენგან! მისი დანახვაც მეჯავრება. ოჰ! რა ძნელია ქვეყანაზე ცხოვრება“!...

ლილი მივარდა სმიტს, რომ ვამოეგლიჯა ხელიდან რვეული, მაგრამ მან მაღლა ასწია და გაინაგრძო კითხვა. როცა გაათავა, მეკითხება: ჯორჯ რამ გაფიქრებინა ასეთი სისულელის წერა?

— სისულელე რად იქნება, —ვუპასუხე მე,—ეს მე ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დღიურიდან გადმოვიწერე, ის დიდია და, რასაც სწერს, კიდევაც ესმის.

სმიტმა ქუდი აიღო და წავიდა. ლილი მომვარდა საცემრად, მაგრამ მე გავუსხლტი ხელიდან და გავიქეცი.

ნეტავი თუა კიდევ ჩემისთანა უბედური ბავშვი? მთელი ოჯახი მე გადამეკიდა.

— შე საძაგელო, რად ჩაუშალე დას ასეთი კარგი ბედი? ასი ათასი დოლლარის შეძლება აქვსო.

სრულიად არ მესმის, რადა მლანძღავენ! რა დავაშავე, რომ გადმოვიწერე ლილის დღიურიდან რამდენიმე სტრიქონი?

კმარა! დანარჩენ დღიურს მე თვითონ შევადგენ, ცუდად იქნება, თუ კარგად—სულ ერთია. კმარა ქალების დღიურიდან ყოველივე სისულელის გადმოწერა.

დღეს ჩვენსა ისეთი ალიაქოთი ასტყდა, რომ თავი მომაბეზრა, სადილიც დავტოვე და სათევზაოდ წავედი. მზიანი დღე იყო, თევზი ჭიას არ ეტანებოდა.

გამომიარა ერთმა ბებერმა და მკითხა:

— ეტანება, შვილო, ჭიას თევზი?

ჭირივით მეჯავრება, როცა უცხონი „შვილოს“ მეძახიან და შევუტიე: რა შენი საქმეა, წაეთრიე აქედგან!

— ოჰ, რა ავი ბავში ყოფილხარო, მითხრა ბებერმა, თავი მოიქექა და წავიდა. ამ დროს ანკესმა დაიწია. მე წინ დავიხარე და წყალში ჩავარდი. ჩემი ამოყვანა რომ ცოტა კიდევ დაეგვიანებინათ, წყალი წამიღებდა წისქვილისკენ, პირდაპირ ბორბალ ქვეშ შემაგდებდა და მაშინ-კი მშვიდობით, ჟორჟიკ! აღარავინ ეყოლებოდათ შინ სალანძღავი და დასასჯელი. მიტირებდენ-კი. არ მახსოვს, წყლიდან ვინ ამომიყვანა, მკვდარივით უგრძნობლად ვეგდე; შეშაბვიეს ზეწარში და დამიწყეს ცხვირის ნესტოებში საბერველით ბერვა. გავახილე თვალები და ვიკითხე, მთელია ჩემი ანკესი, თუ არა მეთქი? რად ტირი და ისე დედა, შინ რომ მიმიტანეს?—სრულიად არ მესმის. ძალიან კარგი-კი მომივიდა, წყალში რომ ჩავვარდი: ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარავინ მიწყრება. ლილიმ მომიმზადა მშვენიერი ჩაი ... რაქით პური და, როცა დალამდა და ვახშამიც გავათავე, დებშა ისე მაგრა გამხვიეს საბნებში, რომ მეგონა, დავიხრჩობოდი. მომშორდნენ თუ არა, გადმოვხტი ლოგინიდან, ჩავიცვი ახალი ქანისამოსი, ძველებს სამზარეულოში აშრობდნენ—და შევარდი სასადილო ოთახში. იქ არავინ იყო. მე დავიმალე ფარდებში ფანჯარასთან და ხმას არ ვიღებ. ჩვენს სასადილო ოთახში კუთხის ფანჯარა ძალიან ფართოა. დალალული ვიყავ, თუ არ ვიცი რადა, მაშინვე ჩამეძინა. როცა გამომეღვიძა, ვახშამი უკვე გაეთავებინათ. ჩემი და სუზია თავის საქმრო ეჭიმ მურთან ტახტზე იჯდა. ოთახის მეორე ბოლოში ბეკკი ფორტეპიანოს უპარტყუნებდა. ლილი ალბად ზევით იყო, უცებ დედა შემოვიდა.

— იცით რა, ჟორჟიკი ლოგინში აღარ არის. გაპარულა; ალბად საბრალო ბავშს სიცხე მისცა.

ეს რომ გავიგონე, ფარდა გადავწიე, ფანჯრიდან გადმოვხტი და ბაყაყივით ხტომით დედას მივაშურე. მეგონა ყველა გადიხარხარებდა, მაგრამ სულ სხვა-კი გამოვიდა. დედამ მაშინვე ტირილი დაიწყო.

— ჟორჟიკ, შენი ცელქობით საფლავში ჩამიყვან, ასე შეშინება განა იქნება!

სუზიას კინაღამ გული წაუვიდა.

— დიდხანს იჯექი ფანჯარაზე?

— დიდხანს,—ვუპასუხე მე და თვალი ვუყავი მას და იმის საქმროს.—თქვენი ლაპარაკიც მესმოდა; მაშ მალე უნდა დაიწყოთ ჯვარი, რომ ..

მაგრამ დამ აღარ დამასრულებინა, პირზე ხელი დამაჭირა და ზევით თავის ოთახში წამათრია. უჰ, რამდენი იტირა იქ! ტიროდა და სულ იმას მისაყვედურებდა, რად შემარცხვინე ჩემს საქმროსთანაო.

— შე ყბედო, შე საძაგელო!

დედამ საბავშო ოთახში დამაწვინა და მოახლე, პოლლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრძანა, არ მოშორდე, სანამ არ დაიძინოსო. ყოველივე ეს, რაც ახლა გიამბეთ ვთხოვე პოლლის ჩემს დღიურში ჩაეწერა. მე ვუკარნახებდი, მაგრამ ისეთი მთქნარება დაიწყო, რომ შემეშინდა, ყბები არ დაუსკდეს მეთქი. ჩქარა უნდა გავათავო, თორემ.

იასონ ნიკოლაიშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამრეკლოზედ

(ფრანგულით)

ოიჟრაჟი იყო. დანამულ ბალახს ბჟყვრიალი გაჰქონდა. კიდევ მოსჩანდა შორს ცაზედ რამდენიმე მკრთალი ვარსკვლავი. ორი პატარა ბიჭი გადმოჰყუდებოდა სამრეკლოს ფანჯარას, რომლის მაღალი შენობა იქაურობას ჩრდილსა ჰფენდა. დაღონებულნი და ფიქრმოცულნი იდგნენ ორივე. უკეკ უფროსმა ძმამ ხელი სტაცა პატარას და ცრემლით აღვსილ თვალებით მიუთითა ზარზე:

„ხედავ, ჩემო ჟაკო, როდესაც ეს ზარი დაჰკრავს, ჩვენ მამას მოგვიკლავენ.“ პატარის გონება ამას ვერ მიმხვდარიყო მაგრამ ძმის ნაღველი იმასაც აღონებდა, და გულ ამოსკვნილი ტირილით შესცქეროდა ჯერ უხმო, უძრავ ზარს.

ამ რამდენიმე დღის წინად მათი მამა დაიჭირეს, რადგანაც ის იყო თავგანწირული მომხრე მეფისა, საფრანგეთის პირველი რევოლიუციის დროს, და აი ამ დილით უნდა დაეხვრიტათ. ვანდეში*) სასტიკად იბრძოდა ორი ჯგუფი: ერთის მხრით რესპუბლიკელები და მეორე მხრით მონარხისტები. უკა-

*) საფრანგეთის მხარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელთა შორის იყო მამა ამ ბავშვებისა, რომელნიც ცალ-ლიად ობლად დარჩებოდნენ, რადგან დედა შარშან მოუკვდათ. ბრძოლის დაწყებისათანავე მამამ იგინი მოხუც ყრუ მნათეს ჩააბარა, და ამისთვის ცხოვრებდნენ ეხლა ამ მოხუცთან, რომელსაც თავისებურად უყვარდა ეს ბალღები. მშობლიურ მზრუნველობას მოკლებულნი იყვნენ, რასაკვირველია, რადგან მას არ ესმოდა, რას საჭიროებდნენ პატარები; მკაცრი შეხედულებისა იყო, სიყრუის გამო მიჩვეულიყო მარტოობას და უფრო თავის ფიქრებში იყო გართული. მოწყენილი ბავშვები ავიდოდნენ ხოლმე სამრეკლოზედ და ფანჯარაში გადაყუდებულნი ნაღვლიანად, უძრავად იდგნენ და ფიქრობდნენ შორს სადღაც მყოფ მამაზედ. უფროსი უამბობდა თავის პატარა ძმას, რისათვის იბრძოდა მისი მამა, სად იმალებოდა ტყეებში, რომ უფრო გაშმაგებით დასცემოდა თავის მტრებს. ამ მწუხარე ამბებს ტირილით ამთავრებდა, მერმე ერთმანეთს გადაეხვევოდნენ და ავედრებდნენ ღმერთს თავიანთ მამას.

ბინდისას, სოფელი რომ ბნელ წყვდიადში, გაეხვეოდა, მაღლა სამრეკლოზედ ბალღები დაჩოქილნი ლოცულობდნენ.

ამ განთიადისას კიდევ უფრო მხურვალედ და განწირულნი ევედრებოდნენ უფალს, რადგანაც იცოდნენ, რომ მხოლოდ ღმერთზე ღა ჰქონდათ სასოება, რომ მარტო იმასღა შეეძლო იმათი მამის გადარჩენა. გულ-ხელ დაკრეფილნი, ფეხშიშველნი იდგნენ თვალაპყრობილნი ზარის ქვეშ; ამომავალი მზე ოდნავ შეეხო იმათ გაფითრებულ სახეს.

თან და თან თენდებოდა. საათმაც დაჰკრა, ბავშვები აღარ ტიროდნენ, მაგრამ მათ სახეს ემჩნევოდა სასოწარკვეთილება: მაღე ხომ ზარსაც ჩამორეკენ, და ეს იქნება ნიშანი სასჯელისა.

უცბად უფროს ძმას ერთმა აზრმა გაუელვა თავში, წაავლო ხელი ზარის ენას, აძვრა შიგ ზარში და დაებღაუჭა იმ დიდ ლურსმანს, რომელზედაც ეკიდა ზარის ენა. განცვიფრებული პატარა ძმა შეუგნებლად ადევნებდა თვალს.

აგერ ჩამოჰკრა კიდეც ყრუ მნათემ ზარი, მაგრამ მისი ენა ხვდებოდა არა ზარს, არამედ ბავშვის სხეულს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გართხული იყო ზარში. ზარის ხმა არ ისმოდა, ენა მაგრამ ხვდებოდა საწყალ ბავშვს, სტკენდა და ცრემლებს აყრევინებდა საბრალოს. პაწია ჟაკი გაოცებით შესცქეროდა ამ სურათს.

ბოლოს მნათემ შესწყვიტა რეკა; დროც იყო, რადგან ღონე მიხდილი, დაოსებული ყმაწვილი ჩამოეშვა ძირს გახარებული, რომ მამა გადაარჩინა სიკვდილს, რადგანაც ზარის ხმას ვერ გაიგებდნენ მისი მკვლელები.

აგერ მინდორში პატიმარი, რამდენიმე რესპუბლიკის ჯარის კაცი; ასისთავმა შეხედა მტრედის ფრად გათენებულ ცას და წარმოსთქვა:

— მოაწია დრომ! შემზადდით!

დააყენეს ტყვე, რომელიც მშვიდად და მამაცად მოელოდა სასჯელს. ჯარისკაცთ გატენეს თოფები და ელოდნენ. რამდენიმე წამი გავიდა და ზარის ხმა არსად იყო. განვლო დანიშნულმა დრომაც, თოფები დაუშვეს და განცვიფრებული ასისთავი თავის პატიმარით და ჯარის კაცებით ეკლესიისკენ გაემართნენ. შევიდნენ მნათესთან, რომელიც ჰპოვეს მძინარე: მან აღასრულა თავისი მოვალეობა, ჩამორეკა ზარი და ისევ მიიძინა; სიყრუის გამო არ გაეგო, რომ ზარი არა რეკდა. მივარდა გაშმაგებული ასისთავი, შეარყია, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო უბედური, თუ რას უსაყვედურებენ? ბოლოს გამოათრიეს გარედ და ასისთავმა მისცა ბძანება, ეხლავ დახვრიტეთ ეს ბებრუკანაო!

ამ დროს ორი პატარა ბავშვი მოეხვია მუხლებზე და ტირილით რაღასაც ემუდარებოდნენ. ასის თავი ცდილობდა მათ მოშორებას, მაგრამ ისინი უფრო მაგრა ებღაუჭებოდნენ და მდულარე ცრემლით ხელებს უსველებდნენ. ბოლოს მოლბა ასისთავი და ყური დაუგდო მათ მწარე ჩივილს. გულ ამოსკვნილმა უფროსმა ძმამ უამბო ყოველივე. მაშინ მიხვდნენ, რომ მნათე დამნაშავე არ იყო და გაათავისუფლეს. უბედურმა ჯერაც არ იცოდა, რას აბრალებდნენ; მიხვდა მხოლოდ რომ მოკვლას უპირებდნენ, და ახლა პირ ღია იჯდა გაშტერებული და სწყევლიდა თავის სიყრუეს, რომლის გამო ცხოვრებისა არა ესმოდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანი ქართველობაა. ქურთები სულ რაღაც 389 სულია, რომელნიც აქაც თავიანთ საყვარელ ხელობას ადგანან, ესე იგი მომთაბარობენ და საქონელს მწყემსავენ.

ფოცხოვი მთა-გორიანი ქვეყანაა, სწორედ ისეთივე, როგორიცაა ქვაბლოვანი საათაბაგოსი (ახალციხის მაზრა). ჰავა და ბუნება მშვენიერია, მთის კალთები და ფერდობნი შემკულნი ტყითა: ფიჭვით, ნაძვით, წიფელით და რცხილით. სოფელ ბადელადან მოკიდებული არსიანის მთამდე, საიდანაც იწყობა შავშეთი და აჭარა, ტყე ხშირია, ხოლო მთის მწვერვალნი სდგანან ტიტვლად. აქ ზაფხულობით ერეკებიან სხვილფეხ საქონელს და ცხვარს საბალახოდ.

ფოცხოვში ორი უმთავრესი წყალია, ფოცხვისა და ჯაყისა. ამათ ერთვის მრავალი ტოტი, გამომდინარე ერუშეთის და რსიანის მთებიდამ. წყლის პირებზე, ხევებსა და ღელეებში სახნავი მიწებია და ხეხილის ბაღები. აქ მოჰყავთ პური, ქერი და სიმინდი. ხილეულობაში ყველაზე კარგად ხარობს ვაშლი.

ხვნა-თესვა, საქონლის მოშენება ისეთივეა, როგორც ქვაბლიანში. ფოცხოველი აბეზარი არაა, მშვიდობიანი ხასიათისაა და ძალზე ეტყობა დაჩაგრულობა. ქვაბლიანელის სითამამეს და სიამაყეს აქ ვერ იპოვნით.

ფოცხოვს სიგრძეზე სჭრის ქვით დაფენილი გზა. იგი იწყობა ქ. ახალციხესთან, გაივლის ს. ვალეს, ბადელას, დამავლეს, მხარს აუქცევს დიგურს და ხანიორის ქედით გაემართება არტანისკენ. ხანიორის ქედს იქით ტყეები აღარ მოიპოვება. ძველად ფოცხოვიდან გზები გადადიოდა ერუშეთს, შავშეთს და აჭარას. დღევანდელ ქვა-ფენილ გზას ცუდად ინახავენ, თუმცა ეტლები დადიან და ჯარის მიმოსვლაც საძნელო არ არის.

უფრო თვალსაჩინო დაბა სოფელნი ფოცხოვისა ესენი არიან: დამავლე, აგარა, დიგური, ჯუმათელი, წურწყაბი, ზედაწმინდა, სტეფან-წმინდა, ბადელა, არილა, პეტუბანი, ქალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი, ყველი, ალი, გიორგის-უბანი, საკირე, ვარხანი, საბლელი, ჭანჭახი, ჭილვანა, შუა-წყალი, ობოლა, საიხვე, ხეოთი, ღვინია, მერე, წინსათიბი და სხვა.

ს. დამავლეში ზის ფოცხოვის ნაწილის უფროსი და აქვეა მოთავსებული საპოლიციო, სამოსამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებანი. დამავლედან ახალციხემდე ძლივს იქნება ოცდა ათი ვერსი, ამ სიახლოვის გამო აქაურებს დიდად ეადვილებათ ახალციხესთან საქმის დაჭერა, მაგრამ რა-კი ფოცხოვი, ადმინისტრატიულად ართანზეა მიწერილი, იქ უნდა იარონ და იქიდანქ. ყარსს. ეს კიდევ რაა, ვისაც საქმე გაუჩნდება საოლქო სასამართლოში, ერევანს უნდა წავიდეს.

დამავლედან ს დიგურამდე სულ ხუთი-ექვსი ვერსია. ეს პატარა სოფელი (62 კომლი) იმითია შესანიშნავი, რომ აქ არსებობს მაჰმადიანთა სკოლა, საიდანაც ღვთის მსახურნი გამოდიან. სკოლაში ასწავლიან არაბულს და სამღრთო-რჯულს. მოწაფენი დიდს ხანს სწავლობენ და ზეპირობენ ყორანს, მაგრამ რიგიანად და საფუძვლიანად ვერ ითვისებენ ვერც არაბულს და ვერც ყორანს. ხუმრობით დიღვირის (ასე ეძახიან ახალციხელები) სკოლას აკადემიას უწოდებენ, მაგრამ ვაი ამ აკადემიას: ათი-თორმეტი წლის სწავლის შემდეგ შეგირდები მიდიან სტამბოლს და იქ ამთავრებენ სწავლას. საათაბაგოს, ფოცხოვისა, ერუშეთის და კოლა-ართანის მოლები დიღვირის აკადემიკოსები არიან, თითო ოროლას გარდა.

შეგირდები მასწავლებლებს ფასს არ აძლევენ. ათასში ერთხელ მათი დედ-მამანი მცირე ძღვენს თუ მიართმევენ ოსტატებს. შეგირდები შინიდან მოტანილ საგზლით საზრდოობენ, ან არა და მათხოვრობით გამოდიან. ასევე ირჩენენ თავს თვით სტამბოლშიაც. კვირის-კვირამდე დადიან სოფლად, მღერიან სამღვთო საგალობლებს, ცოტა რამ სანოვაგეს შოულობენ და ამ საგზლით ბრუნდებიან სტამბოლში. როცა გამოელევათ საქმელი, ხელ-ახლა გაემგზავრებიან ხოლმე სოფლად საზრდოს მოსაკრებად. ადვილად მიხვდებით, რომ ამ გზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძენილი მეცნიერება აგრე რიგად ხელსაყრელი არ იქნებ-ოდეს, ეს კია სათქმელი, რომ ამ სახით აღზრდილი მოლლა რჯულის დიდ და შეურყეველ სიმტკიცეს იჩენს ცხოვრებაში. მაჰმადის რჯულზე უკეთესი არა მიაჩნია რა და ვერ დააჯერებ, რომ ცხონება სხვა რჯულის შემწეობითაც შეიძლება.

დილვირში (დიგური) ცხოვრობდა მდიდარი და გავლენიანი ბეგი შაქირი, ნათესავი ფეიზულა-ბეგ ათაბაგ-ქვაბლიანელისა*) ამ რამდენიმე წლის წინად შაქირ-ბეგმა მიყიდ-მოყიდა თვისი ქონება, ყველაფერი ფულად აქცია და სახლობით გადასახლდა სტამბოლს. ღონიერნი და ხმის ამომღებნი უცხოეთში მიდიან და შინ აღარავინ რჩება. დაჩაგრულსა და უმწეო ქვეყანას ვილამ უნდა უპატრონოს, თუ ძლიერნი ამა ქვეყნისანი უცხოეთში გადიხვეწებიან?

ფოცხოვის ხეობანი სავსეა ციხე-კოშკებით და ეკლესიებით. კარგად შენახულან ეკლესიები: სათლელში, ხეინდარში, მერეში და ალში. მრავალი მათგანი დანგრეულია. ვერანა ხეოსმანის ეკლესიას ისე აქვს მოხვეული ბუჩქები, რომ სულ აღარა სჩანს პატარა ეკლესია და ვერა გზით ვერ მიუდგები შენობას. დანგრეული ეკლესიები არიან: ორტელში, ღვინიაში, პეტუბანში, ჭაბორიაში, ჯაჯუნში, მარცვალეთში, სეჯაში, ხეოთში, ვარხანში, ხუნამისში და აგარაში.

ციხე-კოშკებითაც მდიდარია ფოცხოვი. დიდ-ჭარალის მაგარი ციხე ფოცხოვშია, მაგრამ ეს სოფელი ეხლა მიწერილია ახალციხეზე. აგრედვე მიწერილია საათაბაგოზე ს. ჯაყისმანი, სადაც შესანიშნავი ციხეა და თლილი ქვით ნაგები ბან ჩამონგრეული ეკლესია ქართულის წარწერით ხუცურად.

ციხეთა შორის შესანიშნავია ყალა-ბოინი და ჭანჭახი.

---

*) განსვენებულ ფეიზულა-ბეგს თავი მოსწონდა თავის ჩამომავლობით, ეუყვარდა ქართველობა, ქართული თეატრი და „რ ერიდებოდა ქართველობა". ქართველი საზოგადოება კარგად იცნობდა ფეიზულა-ბეგს.

ისტორიაში განთქმული ყველის ციხე სულ გავერანებულია და ოხრად გდია.**)

ყალა-ბოინი (კლდის თავი) ამართულია ჯაყის-წყლის ორთავ ნაპირას, იქ სადაც იგი ერთვის ფოცხოვს. ციხე ამაყად დაჰყურებს ორთავ ხეობას და წარსულში, როცა განუწყვეტელი ომი და მტრის თავსდასხმა აოხრებდა საქართველოს, ალბად ეს მაგარი ციხე ერთგულ სამსახურს და დარაჯობას უწევდა ფოცხოვს. ვახუშტის აზრით ეს ციხე ეკუთვნოდა ჯაყელებს, შემდეგ მესხეთის და საათაბაგოს ათაბაგთ.

ყალა-ბოინის სიახლოვეს მეორე უფრო დიდებული ციხეა ს. ჭანჭახში. ზემო და ქვემო ციხე მდინარის ერთ პირზეა, ხოლო მესამე წყლის მეორე ნაპირზეა. მათ შორის უეჭველია ასაწევ-დასაწევი ხიდი იქნებოდა. ჭანჭახის ახლო-მახლო მრავალი დანგრეული ეკლესიებია: სოფელ საკირეში, ენგიქევში (ახალსოფელში) და სხვა.

ს. საკირეს ახლო სოფელ ალში დღევანდლამდე გადარჩა მშვენიერი ეკლესია, ნაგები თლილის ქვით, მაგრამ მალე ხელიდან გამოგვეცლება, რადგან სოფლელებმა მოხსნეს თლილი ქვები და წაიღეს ჯამეს და სახლების საშენად. ზოგი ქვა წყლის მილებად უხმარიათ. დასუსტებული კედლები და სვეტები გუმბათის სიმძიმეს ვეღარ გაუძლებენ და გუმბათი მალე ჩამოწვება. წარსულის დიდების ნაშთი-ალის კოხტა ეკლესიაც მალე დაინგრევა უპატრონობით და უზრუნველობით. ეკლესიას მხატვრობაცა აქვს. დახატულია დედოფალი და ჭაბუკი მხედარი.

ყველის ციხის სიახლოვეს არის სოფელი წურწყაბი. ბატონიშვილ ვახუშტის სიტყვით, წურწყაბში ყოფილა ეკლესია გუმბათიანი. კეთილ-შვენიერად ნაგები და დიდი. აქა მჯდარა ეპისკოპოზი, რომელიც განაგებდა სამწყსოს ახალციხის წყლიდან არსიანის და ერუშეთის მთებამდე და მდ. მტკვრამდე.

**) 1080 წელს მეფე გიორგი II თავის ჯარით იდგა ყველის-ციხეში. თურქები დაეცნენ მეფეს და დაამარცხეს. მეფე ყველიდან აჭარას გადავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მშვენიერ საკათედრო ეკლესიისა დღეს კვალიც-ალა-მოჩანს. წურწყაბელებს დაუქცევიათ და თლილი ქვით ჯამე*) აუშენებიათ—აღმოსავლეთის კედელი ჯამესი აშენებულია ეკლესიის კედელზე. ამ ცოდვის გასაქარწყლებლად წურწყაბელები ამბობენ, რომ არც ჩვენ და არც ჩვენ წინაპრებს არ ახსოვთ, რომ აქ ოდესმე ეკლესია ყოფილიყვესო. ჩვენ ივ ოსმალთა ჩამომავალნი ვართ, რომელთაც ეს ქვეყანა დაიმორჩილესო...

თურქ-ოსმალების შემოსევამ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს ასე წაახდინა ზემო-ქართლის ეს მშვენიერი კუთხე. ფოცხოვს დაუკარგა ქართული ენა, ეს უპირველესი განძი ყოველის ერისა და დღევანდელი ფოცხოველი, შეუგნებელი და ბნელით მოცული, წარსულ დიდების ამაგსაც და ნაშთებსაც ალარ ინდობს. მაგრამ მოხდება ის რაც მდინარეს ემართება ხოლმე, იგი ნარუალს არა ჰკარგავს. ცოტაოდენი სიმხნევე და დაფერფლილი ეროვნული აზრი ხელ-ახლა აყვავდება.

ა. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

*) ჯამე მუსულმანთა სამლოცველოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოტანიკური საუბარი

(გაგრძელება)

ფესვები

ის თესლი თუ სასურველ გარემოებაში ჩავარდა, ესე იგი, თუ საკმარი სინოტიე შეხვდა, სითბო და ჰაერი სასუნთქავად, ჯერ ფესვს გაიდგამს და მერე ღეროს იკეთებს. ფესვი პირველ ხანს ძალიან იზრდება. მაგალითად, პირველ წელიწადს მუხის ფესვი (იხილე სურათი № 6) ხუთ-ჯერ და ხან ათჯერ გრძელია ღეროზედ. ფესვი ჯერ პირდა-პირ მიწაში მიდის, მხოლოდ სამი ოთხი წლის შემდეგ იკეთებს გვერდის ფესვებს. ფესვს ხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ფესვი ითვისებს მიწიდგან წყალს, სხვა და სხვა საჭირო მარილებს და აწვდის მათ ღეროს და ტოტების საშუალებით მწვანე ფოთლებს. მაგრამ ფესვების დანიშნულება ამით არ თავდება-

(სურათი № 6.)

ოგინი ამაგრებენ ხეს მიწაში. ღერო ტოტიან ფოთლებით ხანდახან რამდენისამე ასი ფუთის წონისაა. ამოდენა სიმძიმის შე-

კავება შვეულად ამართულ ხისა, მეტადრე, როცა გვერდიდან დიდი ქარიშხალი აწვება, ძალიან გასაჭირია. მიწაში გასამაგრებლად ზოგიერთი ხე იკეთებს ერთ უმთავრეს დედა-ფესვს და მის გარდა მრავალ სხვა გვერდის ფესვებს. ამგვარ ფესვებით ხე ადვილად ებრძვის ქარიშხალსაც. ასეთ ფესვებს იკეთებს მუხა, კაკალი, ფიჭვი და სხვა. ზოგჯერ დედა ფესვი მალე შესწყვეტს ხოლმე ზრდას, მხოლოდ გვერდიდგან ეზრდება მრავალი მსხვილი ფესვები, რომელნიც მიდიან ირიბად კარგა ღრმად, ამნაირად იდგამს ფესვს წიფელა, თელა, სოჭი და სხვა. ამ ხეებსაც ვერას აკლებს ქარი. ადვილად გლეჯამს და აბრუნებს ქარი მეტადრე ავდრის შემდეგ გაზაფხულზედ იმ ხეებს, რომელთაც ფესვები ღრმად არა აქვთ მიწაში გაკეთებული, როგორც მაგალითად ნაძვს.

რასაკვირველია, ფესვების ზრდა და გამაგრება დამოკიდებულია გარემოებაზედ. თუ ხე სხვა ხეებთან ერთად იზრდება, მაგალითად ტყეში, მაშინ არც ქარისა ეშინიან, რადგანაც ტყე ერთობ ასუსტებს ქარის ძალას, ამის გამო ხეს არ სჭირია ძალიან მაგარ ფესვების გაკეთება. როცა ამისთანა ხეს ჩამოეცლებიან მეზობელი ხეები (მაგალითად, გაკაფვის შემდეგ) მაშინ ქარი ამ ობლად დარჩენილ ხეს გაორკეცებული ძალით ეკვეთება და ხშირად აქცევს კიდეც.

(სურ. № 8),—ლივანიის კედრი საკუთარი სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ქართან ბრძოლაში მომეტებული ძალა განაპირა და მარტო მდგომ ხეებს მოსდით, მაინც ამ ხეებს არც ისე ეშინიანთ ძრიელი ქარისა, რადგან თავდაპირველადვე შეჩვეულნი არიან იმასთან ბრძოლას: ფესვები უფრო ღონიერი, შორს და ღრმად გადგმული აქვთ. გარდა ამისა, ეს ხეები ისე მაღლა არ იზრდებიან, როგორც შუაგულ ტყეში. არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი გარემოება: მარტო მდგომ ხეს უმთავრესი ტოტები ძირს აქვს მიწასთან ახლოს; ტყეში გაზრდილ ხეებს-კი ტოტები რჩებათ მხოლოდ ზემოდ წვერზედ კენწეროზედ, დაბლა ტოტები-კი უხმებათ და სცვივათ. გავსინჯოთ სურათები №№ 8 და 9. მერვე სურათი წარმოადგენს მარტო მდგომ ობოლ ხეს, ხოლო სურათი №9.—ფიჭვის ტყეს.

სურათი № 9.—ფიჭვის ტყე ყირიმში ბორაქომში საკ. სურ.

გამოვიკვლიოთ, როგორ იმოქმედებს ქარი ხეზედ 1) როცა მას დაბლა მიწასთან ახლო აქვს ტოტები, და 2) როცა ტოტები მაღლა კენწეროზედა აქვს. ქარი აწვება ხეს, როგორც აზარმაცს რომელსაც ერთი ბოლო დამაგრებული აქვს მიწაში ფესვებით, მეორე ბოლოს კი ძალას ატანს ქარი, ამიტომ რაც უფრო მოკლე იქმნება ეს აზარმაცის მხარი, უფრო ნაკლებ ძალას დაატანს ქარი ფესვებს.

ფესვების ზრდაში დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ნიადაგს. თუ ნიადაგი ფხვიერია, ქვიშიანი, ან ლამიანი, ფესვები ღრმად მიდიან; თუ ქვიანია, მაგარი, ფესვები მიწის პირას ზევზევით მიდიან. თუ ხის ახლოს ნოყიერი და ნესტიანი ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია, ფესვები იქითკენ იწევენ, თითქო განგებ დაეძებენ ნესტიან და ნოყიერ ნიადაგსაო.

ფესვების მიწაში გამაგრებას ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ იგინი თან და თან მოკლდებიან. რადგანაც ახალგაზდა ფესვები მაგრა სხედან მიწაში, ამიტომ დამოკლებული ფესვები უფრო მაგრა აკრავენ თვით ხეს მიწაში. შტოს ნაწილები, რომელნიც წინად მიწის პირას იყვნენ, ეხლა, მიწაში ჰყვებიან და ამით კიდევ უფრო ამაგრებენ ხეს.

სოლომონ ქურდიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედმონდო დე ამიჩისი

(ნეკროლოგი)

ედმონდო და ამიჩისის სიკვდილმა დიდი გლოვა გამოიწვია მთელს იტალიაში. თუმცა უკვე 62 წლისა იყო, მაგრამ ჯერ ჯანსაღად იყო და წინანდებურად ემსახურებოდა მწერლობას.

დღე მოუსწრაფა ზედი-ზედ დართულმა უბედურებამ: შარშან ენკენისთვეში და მოუკვდა, ამ ერთის თვის წინად ძმა და ცოტა ხანს შემდეგ შვილი. ამდენ სევდას ველარ გაუძლო მწერალმა და თითონაც თან გადაჰყვა.



ედმონდო დე ამიჩისი დაიბადა 1846წ. ოცი წლისამ გარიბალდიელებთან ერთად იტალიის აღდგენისათვის ატეხილს ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო და დიდადაც ისახელა თავი ვაჟკაცობით.

ამ დროის დასასურათებლად მან გამოსცა წვრილი მოთხრობები „მხედრული ცხოვრება“ და დიდებულის მწერლის სახელი მოიხვეჭა.

მას შემდეგ ბევრი იმოგზაურა, — ოსმალეთში, ესპანიაში, ამერიკაში — და რამდენიმე წიგნად გამოსცა თავისი შთაბეჭდილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს გამოსცა თავისი ცნობილი „მოწაფის დღიური“ (il cuore გული), რომელიც ყველა განათლებულმა ერმა სთარგმნა და რომელიც მარტო იტალიაში დღემდე 450 ჯერ იქმნა დაბეჭდილი.

არც ერთს მწერალს არა ჰქონია ასეთი დიდი და ცხოველმყოფელი გავლენა მოზარდ-თაობაზედ, როგორიც დეამიჩისსა აქვს თავის „გულით“, რომელში საკვირველი ხელოვნებით არის დახატული **იდეალი მამულიშვილისა**.

საოცნებო, დევგმირული არაფერია ამ წიგნში; მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი დამწერი, რომ უბრალო, ყოველდღიურ ცხოვრებას ჰხატავს და რასაც-კი შეეხება თავის მადლიანი კალმით, ძვირფას განძად აქცევს, თითქო ჯადოქარი იყოსო.

„მოწაფის დღიური“ დაბეჭდილია ქართულადაც, და თუმცა მშვენიერია ენითაც და გარეგნობითაც, თითქმის გაუყიდავი აწყვია. ამისი ბრალი ჩვენი მწერლობის უკრიტიკობას ედება და მასწავლებელთ, რომელნიც თვალყურს უნდა ადევნებდნენ მწერლობას და სასურველ წიგნს დაბეჭდვისათანავე აცნობდნენ მოსწავლეთ. თორემ ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენს მოზარდ თაობას არ ჰსურებოდეს ახლად აღდგენილის იტალიის შვილის „გულის“ გაცნობა.

ი. მაჭავარიანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ნიკოლაძე

(ნეკროლოგი)

ჩემო პატარა მკითხველებო, 21 თებერვალს ტფილისში მიხაილოვის საავადმყოფოში გარდაიცვალა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე 50 წლის კაცი ვ. ი. ნიკოლაძე. იგი არ ეკუთვნოდა დიდებულ და ცნობილ მოღვაწეებს, რომელთაც თავი უსახელებიათ, დიდება და სახელი მოუპოვებიათ რომელიმე ასპარეზზე, მაგრამ განსვენებულს ვ. ი. ნიკოლაძეს ჰქონდა ბევრი ისეთი კარგი თვისება, რომელიც მაღლა აყენებს მას ბევრს დღევანდელს ქალაჩუნა მოღვაწეებზე. თქვენს მეგობარს ჟურნალში ბევრს საინტერესო სათამაშოებს და გასართობებს შეხვდებით ნიკოლაძისაგან შედგენილს: რაც „ნაკადული“ გამოვიდა იმ დღიდან დიდის სიყვარულით და თანაგრძნობით თანამშრომლობდა უკანასკნელ დღემდე.

განსვენებულს უმაღლესი სწავლა განათლება არ მიუღია; გამოვიდა ქუთაისის გიმნაზიის მერვე კლასიდან, ერთხანს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ მსახურებდა, დუქანშიც ვაჭრობდა, მაგრამ მალე მიატოვა ეს საქმე-გახსნა ქუთაისში „პატარა წიგნის მაღაზია“ მოწაფეთათვის; უნდა გენახათ, როგორ ბუზივით ეხვევოდნენ პატარა მოწაფეები ამ წიგნის მაღაზიას მას იზიდავდა ამ „პატარა მაღაზიაში“ განსვენებულის უზომო სიყვარული და ალერსით მოპყრობა პატარაებისა, რომელნიც. მათ მომავალ ნუგეშად და იმედად მიაჩნდა ქვეყნისათვის. განსვენებული ვ. ი. ნიკოლაძე ხშირად აწვდიდა მათ საკითხავ წიგნებს, უღვიძებდა ხალისს მეცნიერების შესასწავლად და უეჭველია დღეს, ვისაც-კი მისი მეგობრული გავლენა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობა ახსოვს, არაოდეს არ დაივიწყებს ჩუმ-ბიბ-ლიოთეკა
ლვაწის განსვენებულის სახელს. დღეს ჩვენში მოღვაწე ახალ-
გაზდა მექანდაკე და მხატვარი იაკობ ნიკოლაძე თავიდანვე
დაადგა იმ გზას, რომელიც განსვენებულმა ურჩია მას. ამნაი-
რად იაკობ ნიკოლაძის ხელმძღვანელობაში ბავშვობიდანვე
განსვენებულს დიდი ამაგი მიუძღვის. არ შეგვიძლია აქვე არ
მოვიგონოთ ერთი ამპავიც განსვენებულის ცხოვრებიდან, რო-
მელიც ნათლად ამტკიცებს მის გულშემატკივრობას ყოველ-
ცხოველ არსებისადმი. ერთხელ, როცა ქუთაისში „პატარა
მაღაზია“ ჰქონდა, ერთი ძაღლი ნახა ორი ლეკვით, დედა
ძაღლი მალე მოკვდა, დარჩნენ ობლად და უმწეოდ პატარა
ლეკვები; განსვენებულს, როგორც გულჩვილ ადამიანს, ძლიერ
შეეცოდა დაობლებული ლეკვები და დაუწყო მათ ხელოვ-
ნურად გამოკვება; ეს, რასაკვირველია ბავშვებმაც მალე გაი-
გეს, მათ ნორჩს გულსაც ესიამოვნა ასეთი სიყვარულით მო-
ჰყრობა საცოდავი ლეკვებისა და ისინიც მუდამ მზად იყვნენ
დახმარება გაეწიათ ობოლ ლეკვების გამოკვებაში.

მალე ხელმოკლეობამ იძულებული გახადა მაღაზია მიე-
კეტა. ამის გამო ბავშვებიც ბევრს სიამოვნებას მოაკლდნენ.
ქუთაისიდან ვ. ი. ნიკოლაძე მიდის ბაქოში და მსახურებს
ნავთის მწარმოებელ ვაჭარ მანთაშევთან, მაგრამ აქ ხედავს
ბევრს ადამიანის ღირსების დამამცირებელ საქციელს და თავს
ანებებს სამსახურს; ბრუნდება ქუთაისში, ხსნის ფოტოგრა-
ფიას, მუშაობს ხონში და ბათუმში. თვითონაც უყვარდა
მხატვრობა, ხატავს საღებავებით. ბოლოს ფოტოგრაფიასაც
თავს ანებებს და შედის სამსახურში ცნობილ მდიდარ როტ-
შილთან ბათუმში, მაგრამ მალე აქაც თავს ანებებს სამსახურს
და ვექილობას მიჰყოფს ხელს. სწორედ ამ დროს განსვენე-
ბული ვ. ი. ნიკოლაძე დაუფასებელი და ერთგული მეგობარი
ხდება ქართველ მაჰმადიანებისა, რომელნიც მას დიდად შეი-
ყვარებენ, რადგანაც სამართლიანად და თითქმის უსასყიდ-
ლოდ იცავს მათს საქმეებს რუსის სასამართლოში. ვ. ი. სწერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილებს „ახალ მიმოხილვაში“, რომელიც გამოდიოდა ტფილისში რუსულ ენაზე და სხვა გაზეთებშიაც. ბოლო დროს განსვენებული მსახურებდა ტფილისში ქალაქის გამგეობაში.

განსვენებულის ვ. ი. ნიკოლაძის პიროვნების ერთს საუკეთესო თვისებას შეადგენდა ყველგან, ყველაფერში და ყოველთვის სიმართლის დაცვა, იგი არასოდეს ძლიერი ბოროტების წინაშე მონურად ქედს არ მოიხრიდა და, როცა მისი მუდამ გრძნობიერი გული ამოსძახებდა, ყოველთვის მზად იყო თავდავიწყებამდის გამოჰქომაგებოდა ყოველს სიმართლეს. სწორედ განსვენებულის ხასიათის ამგვარმა თვისებამ იძულებული ჰყო იგი დიდს ხანს ვერსად ვერ შეგუებოდა სამსახურს, მაგრამ განსვენებულმა მაინც ღირსეულად შეასრულა პოეტის ანდერძი:

„ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად;
სამშობლო შენი მარად გიყვარდეს,
თუ-კი გსურს გახდე ადამიანად“.

ლ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქანდაკება

ქ დახატულია რამდენიმე ნაქანდაკევი. ქანდაკი, ანუ ევროპიულად სკულპტორი, ჯერ ხელით სტკეპნის თიხას და მერმე ალებასტრისას ჩამოასხამს. ქანდაკებისთვის იხმარება ლურჯი თიხა, რომელიც ჩვენში მცხეთას იშოვნება; ცოტად რომ დაასველოთ, ისე იზილება, როგორც წმიდა სამთელი, ოღონდ არ უნდა შრებოდეს. ამისათვის ნამუშევარს, თუ ერთ დღეს ვერ შესრულდა ზელა ფორმისა და მისი ჩამოსხმა, სველ ტილოში ახვევენ. თუ გაშრა, ხელმეორედ უნდა დასველდეს.

თუ გინდათ, ვისიმე თქვენი ნაცნობის სახე აზილოთ თიხიდგან, უნდა იშოვოთ ოთხკუთხი ფიცარი, რომ ზედ დაეტიოს განძრახული ზომის ფორმა.

დასდოთ ზედ დაზელილი სუფთად ლურჯი თიხა და შემდეგ გამოიყვანოთ ჯერ ერთიანად თავი, მხრები, ყური, თვალები, ცხვირი და სხვა, ცერით, ან ნიჩბებით, როგორც გეადვილებოდეთ, მინამ არ დაამსგავსებთ თქვენს ნაცნობს.

სახის გამოყვანა პირველად ძნელი გეჩვენებათ, მაგრამ შემდეგში, თან და თან ისე გავარჯიშდებით, რომ მიახწევთ მიზანს.

არც გამოყვანილი ფიგურის ჩამოსხმა არის ძნელი. ნახე **ა** და **ბ**.

იმ ფიგურას, რომლის ყალიბის ჩამოსხმა გსურთ, დასდგამთ მიწაზედ და გარშემო ოთხკუთხივ, მთელ სიმაღლემდის, ამოუშენებთ თიხის კედლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიგურა დარჩება შუაში. მერმედ ააღულებთ წებოს, ძალიან სქლად გახსნილს, და ნელ-ნელა დაასხამთ ფიგურას, ვიდრე მთლად დაიფარებოდეს. როდესაც წებო გაცივდება, გამაგრდება. მოაშორებთ ტალახის კედლებს, ამოიღებთ ოთხკუთხა წებოს, რომელშიაც მომწყვდეულია ფიგურა. შემდეგ დანით, ფრთხილად რომ ფიგურა არ გააფუჭონ, თავიდგან ბოლომდის გასჭრიან წებოს და გამოაცლიან ფიგურას.

ა

ამ გვარად გამხმარი წებო დარჩება ყალიბად.

წებოს ორი ნაჭერი ერთმანერთს რომ მიაკრათ და შიგ გახსნილი ალებასტრი ჩაასხათ, რამდენსაც ისურვებთ, იმდენს ფორმას ჩამოასხამთ.

გახსნილ ალებასტრს ის თვისება აქვს, რომ მალე შრება და თითქმის ქვად იქცევა; მზადდება ამ ნაირად:

ალებასტრი, რომელიც ყველგან იპოვება, იწვის, როგორც კირის ქვა. რომ დაფხვნით, წყალში გახსნით, და ყალიბში ჩაასხამთ, გაცივდება, წყალს გააშრობს, თვითონ ქვად იქცევა და მიიღებს იმ ფორმას, რომელშიც თქვენ მოაქცევთ.

ვ. ნიკოლაძე

ბ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

ორი მარცვალი-სიტყვაა,
პატარა მხეცის სახელი,
იმისი მოხერხებისგან
გაკვირვებულა მნახველი.
ეს პაწაწინა ნადირი
ხშირად ბატების მტერია
ორჯერაც გამოანგრია
ჩვენი საქათმის ჭერია.
ბოლოში ორი ასოა
ჯერ „ნარი“ მერე „ინია“
ზღაპარში მხეცის სახელზე
შენც ხშირათ გაგიცინია.
სამივე ერთად სითხეა,
ხალხისთვის დიაღ ძვირფასი,
ერთი წვეთიდან სარგებლობს
ხშირად მრავალი ათასი.
იმითი ვხატავთ ჩვენს აზრებს,
ვავრცელებთ დიდ მანძილზედა,
ხშირად იმისი ნასაქმი
მძლავრია ჭექა მეხზედა

ვანო ჯიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა თვალთმაქცი

ქვემორე მოყვანილ თვალთმაქცობისთვის ბევრი მომზადება არ არის საჭირო. უპირველეს ყოვლისა იცოდეთ, რომ თვალთმაქცობისთვის საღამო სჯობია, როდესაც ოთახი სანათის შუქით არის განათებული. პატარა მაკიდა უნდა დასდგათ მაყურებლებთაგან ცოტა მოშორებით და ზედ გადააფაროთ სუფრა. ზედ დასდგით ორი სანთელი. პირდაპირ, ცოტა მოშორებით სხედან მაყურებელნი, მეორე მხრივ დგას თვალთმაქცი, და მაგიდის უჯრა იმისკენ არის მოქცეული. ამ უჯრაში ინახება სხვა და სხვა საჭირო საგნები. მაყურებელნი თავიანთ ადგილებიდან არ უნდა ადგნენ, და თუ რაიმე საგნის ახლო დანახვა დასჭირდათ, თვალთმაქცმა თითონ უნდა მიუტანოს და აჩვენოს. შეძლებისა და გვარად ერთსა და იმავე ადგილას უნდა იდგეს ესე იგი მაგიდის უჯრის წინ, და მაყურებელთა პირდაპირ. ეს ადგილი არასოდეს არ უნდა გამოიცვალოს, მაშინაც კი როდესაც უჯრა არა სჭირდება, თორემ როდესაც უჯრასთან მისვლა დასჭირდება, შეიძლება მაყურებლებმა ეჭვი აიღონ და მიხვდნენ, რომ ყუთში სხვა და სხვა საგნები აქვს დამალული. თვალთმაქცობის დროს განუწყვეტლივ უნდა ილაპარაკოს, რომ ამით მაყურებლების ყურადღება შეიყოლიოს, თითონ კი ამითი ისარგებლოს და შეუმჩნევლად შესცვალოს ესა თუ ის საგანი. ამ უკანასკნელს გარემოებას, ე. ი ლაპარაკით მაყურებელთა შეყოლიებას, უპირველესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ყოველივე იმაზედ არის დამოკიდებული. ხელში ყოველთვის უნდა ეჭიროს „თილისმის წკეპლა“.

ბეჭდის ცეკვა

დასდგით მაგიდაზე ჭიქა, აიღეთ ბეჭედი, აჩვენეთ მაყურებელთ და ჩააგდეთ ჭიქაში. აიღეთ „თილისმის წკეპლა“ შეულოცეთ და ნელ-ნელა დაჭარით ჭიქას ზემოდან. წკეპლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვრის დროს ბეჭედი ჭიქაში ცეკვას დაიწყებს. მოუჩქარებელი ბეჭედიც მოუხშირებს თავის სასაცილო ცეკვას.

გიგო ჯაფარიძე.

ანდაზები

დარში ნაბადს ნუ დააგდებ,
ავდარში ქალამანსაო.

როგორც დამიკრავ ჩონგურსა,
მეც ისე დაგიროკდები.

გამოცანა

ოთხმა ჩიტმა ერთი კვერცხი გამოსჩიკა.

რებუსი

მე-4 №-ში მოთავსებულ გამოცანების ალსნა:

შარადის ახსნა:—სალამი.

გამოცანის ალსნა:—მტვერი.

ოედაქტორი **მ. ი. დემურია.** გამომც. **თ. პ. ი. ოუმანიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა

(„არბავი ცხოველთა სამეფოსი“)

თარგ. გრ. ყიფშიძისა.

ცნობილ წიგნს ცნობილი მთარგმნელი გაუჩნდაო, სწორედ ამ წიგნზე ითქმის. მართლა, როგორც ყოველი საქმე, ბავშვისგან ამ წიგნის კითხვა მოითხოვს გულის ყურსა და მეტ დროს, ვიდრე სხვა წიგნი, მაგრამ გამზდელის მოვალეობაა დრო შეეურჩიოს ყმაწვილს; როცა ბავშვი რომელიმე ცხოველის ცხოვრებაზე დაგიწყებსთ კითხვას, მაშინ უნდა მიუთითოთ ამ წიგნზე და, თუ ერთხელ გულდადებით მოკიდა ხელი, მერმე აღვარ გაუშვებს წაუკითხავს.

მართლაც, რა საკვირველებანი არ არის მოთხრობილი: ჩვენ ასს ფრინველს რომ დავინახავთ ერთად: „უ, რამდენი გუნდიაო,“ დავიწყებთ ყვირილს და თურმე ნუ იტყვით, მთელი ცა მოიქედება ხ.ნ და ხან მარტო პატარა მტრედებით. ჩვენში პატარა გველის გვეშინია და ყოფილა ისეთი გველი რომელსაც ხარის დაბრჩობაც კი შესძლებია.

გინახავთ მხვნელი ან მთესველი ჭიანჭველა? უთუოდ, არაო! მეტყვით და თუ არა, მაშ ამ წიგნაკში ნახავთ და მათ ცხოვრებასაც გაიგებთ.

თქვენ გგონიათ, რომ სახლია აშენება, ღობის შემოვლება მხოლოდ ადამიანმა იცის, არა არის კიდევ ცხოველი, რომელიც სახლსაც შნოიანად აშენებს და ღობესაც ავლებს. რომელიო მკითხავთ? მე არ ვიცი—დაეკითხეთ წიგნს: „ამბავი ცხოველია სამეფოსი“.

ნ. ლ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**, 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**
გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**